

ვინ ესხმის თავს გაზეთ "იმედის" რედაქტორს? A3



ნაკოლკა B1



ვებერი თეატრალურ იმპერიას ყიდის B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

შაბათი, 16 ივლისი, 2005 წელი. №160 (1020)

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 სააათი

## ამბები

### ყოფილი პოლიციელი მძიმე დანაშაულებშია ეჭვმიტანილი

შესაძლოა, გოჩა ნაზღაიძის მიმართ საქმე მკვლელობის მუხლითაც აღიძრას. საქმე ეხება 2003-2004 წლებში დედა-შვილის, დარინა და ნინო პოპუნაშვილების და ცოლ-ქმრის, ვენერა და ომარ ნიბლაძეების გახმაურებულ მკვლელობებს.

A3

## რევიუ

### საზოგადოებრივი მაუწყებლობა საზოგადოების სამსახურში



საზოგადოებრივი მაუწყებლობის ახალი დირექტორის თანამდებობაზე თავისი კანდიდატურა საჯაროდ პირველმა ლაშა ბაქრაძემ წარადგინა.

B1

## კვირა

### მავნე ჩვევა სუბიექტური მინარევებით



საქართველო სახელმწიფო გახდა და მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ნებისმიერ სახელმწიფოს თამაშის მხოლოდ ერთი წესი აქვს - კანონი და მხოლოდ ერთი ხედვა - სახელმწიფოებრივი.

B2

## ამინდი

| | 16/07 | 17 /07 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 36 |
| ტყიბული | 36 | 27 |
| სოხუმი | 35 | 27 |
| დმანისი | 31 | 27 |
| გორი | 33 | 28 |
| ონი | 29 | 20 |
| ზუგდიდი | 38 | 32 |
| ახმეტა | 37 | 35 |
| სამტრედია | 38 | 31 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| უცხოეთი | A 4 |
| ამბები | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| ტენდერი | A 8 |

# უარის პირველი ეტაპი

### ცესკო-მ სარეფერენდუმო საკითხის ფორმულირება დაიწუნა



*საინიციატივო ჯგუფის წევრი ირაკლი მელაშვილი ამაოდ ცდილობდა, აზრი შეეცვლევინებინა ცესკო-ს წევრებისთვის.*

ვერიკო თევზაძე

**"კომისია იყენებდა ყველა საშუალებას, ხავსს ეჭიდებოდა, რათა საინიციატივო ჯგუფისათვის უარი ეთქვა. შეინიშნებოდა ფორმალურ მხარეებზე გამოდევნება. რაც მთავარია, კომისიამ ხელოვნურად შექმნა ფრიად ქაოსური სიტუაცია,"** - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ ანა დოლიძემ ამგვარი კომენტარი მასმედიასთან მას შემდეგ გააკეთა, რაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საინიციატივო ჯგუფს უარი განუცხადა სარეფერენდუმო საკითხის რეგისტრაციაში გატარების შესახებ. საინიციატივო ჯგუფის წევრმა ირაკლი მელაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა: **"რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ცესკო-ს წევრები მთელი დღის განმავლობაში ადგილზე არ ბრძანდებოდნენ."** აქედან გამომდინარე, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ცესკო-ს თავმჯდომარეს გიორგი ქავთარაძეს პირდაპირ დაუსვა შეკითხვა: **"ასრულებთ თუ არა თქვენ ხელისუფლების დაკვეთას?"**

**"ჩვენი არგუმენტაცია ასეთია. საინიციატივო ჯგუფის წევრებმა არ გამოასწორეს ის ხარვეზები, რომლებზეც ჩვენ მათთან ვისაუბრეთ. მხოლოდ ერთი საკითხი იქნა შესწორებული,"** - განაცხადა სხდომის შემდეგ სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე გიორგი ქავთარაძემ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ახალი მერის ახალი კადრები

ნანა ქადაგიშვილი

გიგი უგულავამ გუშინ ახალი კადრები წარადგინა. სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოს უფროსმა გიორგი მელაძემ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის იურიდიული სამსახურის უფროსმა დავით საყვარელიძემ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ კობა სუბელიანმა და შპს "ქალაქპროექტის" ყოფილმა უფროსმა ნიკოლოზ ჩხაიძემ ქალაქის ყოფილი მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის კადრები შეცვალეს.

გიორგი მელაძე ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე უჩა გელაშვილის ნაცვლად წარადგინეს; დავით საყვარელიძე - მერიის კანონიერების დაცვის ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე, გიორგი ხაბაშვილის ნაცვლად; კობა სუბელიანი - ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, ტარიელ ხიზანეიშვილის ნაცვლად; ნიკოლოზ ჩხაიძე კი ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, გიორგი ასათიანის ნაცვლად.

გაგრძელება A2 გვერდზე

# აშშ-ს მრავალმხრივი ინტერესები ცენტრალურ აზიაში

### გადაიქცევა თუ არა რეგიონი აშშ-სა და რუსეთ-ჩინეთის საჭილდაო ქვად

ნიკა თარაშვილი

*რუსეთი და ჩინეთი - მთავარი დამნაშავენი, რომ აშშ-ს სამხედრო ბაზების არსებობა ცენტრალურ აზიაში კითხვის ქვეშ დადგა, - ასეთი პათოსით გამოირჩეოდა რეგიონის უძლიერეს სახელმწიფოთა მიმართ აშშ-ს გენშტაბის უფროსი რიჩარდ მაიერსი თავისი უკანასკნელი საჯარო გამოსვლისას. მიმდინარე თვის დასაწყისში ასტანაში "შანხაის ჯგუფის" მიერ მიღებულ მიმართვას ამერიკამ გვიან, მაგრამ საკმაოდ მკვეთრად უპასუხა.*

აშშ-ს შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელმა, გენერალმა რიჩარდ მაიერსმა რუსეთი და ჩინეთი შუა აზიის იმ სახელმწიფოებზე ზეწოლაში დაადანაშაულა, სადაც ამერიკული სამხედრო ბაზებია განლაგებული.

გაგრძელება A4 გვერდზე



*გენერალი მაიერსი: ცენტრალურ აზიაში სტაბილურობისთვის ამერიკელი სამხედროების ყოფნა აუცილებელია*

# ფერმერების პროტესტი

*ქიზიყელ ფერმერებს, მოწეული მოსავლის აღების გარდა, სხვა თავსატეხიც უჩნდებათ. პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, მიმდინარე წლის იანვრიდან ყველა მემამულეს საურავები დაუწესდა. მთავრობა ფერმერს იმ ვალს ახსენებს, რომელიც, თავის დროზე, პრეზიდენტ შევარდნაძის 2000 წლის ბრძანებულების თანახმად გაუქმდა.*

ზვიად რუაძე

როგორც დედოფლისწყაროელი ფერმერები ამბობენ, ისინი ხელისუფლებამ შეცდომაში შეიყვანა. სახელმწიფო მათგან 2000 წლის მიწის გადასახადს ითხოვს, რადგან საგადასახადო დეპარტამენტი რაიონის გამგეობის მაშინდელ ნორმატიულ აქტს, გადასახადის 90 პროცენტით შემსუბუქების შესახებ, იურიდიულ დოკუმენტად არ მიიჩნევს. **"აღნიშნული ბრძანება იმის საფუძველზე გამოიცა, რომ 2000 წელი გვალვიანი იყო. თუმცა მომდევნო 2003-2004 წლების მიწის გადასახადებს პირნათლად ვიხდიდით. ახლა კი ძველი გადასახადებით გვახრჩობს საგადასახადო. რა ქნას გლეხობამ?"** - კითხულობს დედოფლისწყაროელი ფერმერი მერაბ რობერტაშვილი.

იმ შემთხვევაში, თუ მთავრობამ რაიმე რადიკალური ღონისძიებები არ გაატარა, დედოფლისწყაროში 15 ათასი მოიჯარე მიწის პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობას ვერ მიიღებს, ადგილობრივი გლეხობა მიწის მესაკუთრე ველარ იქნება და მიწას უცხო პიროვნებები დაეპატრონებიან. **"ქიზიყელი გლეხისათვის უმთავრესი პრობლემა უყურადღებობაა, რომელიც გამოიხატება არა ერთ კანონში, არა ერთ ქმედებაში, არამედ კანონებისა და ქმედებების მთელ კომპლექსში. სოფელი და სოფლის მეურნეობა არის სახელმწიფოს სისხლი და საჭიროა დროული მოქმედება, რათა ამ სისხლისგან ქვეყანა საბოლოოდ არ დაიცალოს",** - ამბობს დედოფლისწყაროს ფერმერთა სახლის დირექტორი ვახტანგ კიკილაშვილი.

ფერმერები თხოვნით მიმართავენ პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ გაბათილდეს 2000 წლის მიწის გადასახადი.

# "თბილისი ბიზნეს პლაზა" ყოფილ ნარკოლოგიურ ინსტიტუტში 2 მილიონ 250 ათას დოლარს გადაიხდის

გუშინ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შედგა კონკურსი, რომელიც ეხებოდა ქ. თბილისში, დ. აბაშიძის ქ. 17/4-ში მდებარე ყოფილი ნარკოლოგიის ინსტიტუტის მიწის ნაკვეთისა და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების გაყიდვას. საწყის ფასად დასახელებული იყო 1 100 000 აშშ დოლარი, ხოლო გამარჯვებულის გამოსავლენად - შემდეგი კრიტერიუმები: 1. მაქსიმალური საწყისი გასაყიდი ფასის დასახელება და 2. საკონკურსო პირობების დაკმაყოფილებაზე ვალდებულებების აღება.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო ორმა კომპანიამ - საქართველოს რეკონსტრუქციის და განვითარების კომპანია "ჯი-არ-დი-სი"-ს შვილობილმა კომპანიამ "თბილისი ბიზნეს პლაზამ" (რომელიც წარმოადგენს "თბილისი სიტის" პროექტის ინიციატორს) და სააქციო საზოგადოება "კონსტრაქშენ ენდ დეველოპმენტ გრუპმა".

სს "კონსტრაქშენ ენდ დეველოპმენტ გრუპის" ფინანსურ წინადადებაში ქონების შესასყიდ თანხად დაფიქსირდა 1 211 000 აშშ დოლარი, ხოლო "თბილისის ბიზნეს პლაზას" განაცხადში - 2 250 000 აშშ დოლარი.

გარდა ამისა, "თბილისი ბიზნეს პლაზამ" დამატებითი პირობის სახით დააფიქსირა კომპანიის მზადყოფნა, რომ იგი მონაწილეობას მიიღებს ნარკოლოგიური ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების დაფინანსებაში.

კონკურსის შედეგები ცნობილი გახდება რამდენიმე დღეში.

# დღე მეხუთე

### ერთიანი ეროვნული გამოცდების დღიური

გუშინდელი დღის განსაკუთრებული მოვლენები: დასრულდა გამოცდა უნარ-ჩვევებში. 31 174 რეგისტრირებული აბიტურიენტიდან გამოცდაზე არ გამოცხადდა 723. აქედან დიდი პროცენტი შემოქმედებითი პროფილის უმაღლესი სასწავლებლების აბიტურიენტები არიან, რომლებმაც ვერ გაიარეს შემოქმედებითი ტურები. მიუხედავად სამინისტროსგან არაერთგზის თხოვნა-გაფრთხილებისა, თოთხმეტ საგამოცდო ცენტრში ოთხივე სესიაზე დაგვიანების 41 შემთხვევა მაინც იყო. ნამუშევრები გუშინ საღამოს უკვე დალუქული ეწყო თაროებზე, ხოლო ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრის საიტზე (naec.ge) ზოგადი უნარების ტესტები განთავსდა. რაც შეეხება პასუხებს (და არა შედეგებს!), ისინი ერთიანად განთავსდება საიტზე ივლისის ბოლოს.

გუშინვე "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" გამოაქვეყნა ერთიანი ეროვნული გამოცდების მონიტორინგის პროგრამის შედეგები. ორგანიზაციის 30 დამკვირვებელი ესწრებოდა თოთხმეტივე საგამოცდო ცენტრში ოთხივე სესიას ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ყველა ცენტრში ორი დამკვირვებელი იყო "ინსაიდერი", რომელიც აბიტურიენტების მუშაობის პროცესს ესწრებოდა და "აუტსაიდერი", რომელიც ესწრებოდა რეგისტრაციასა და საგამოცდო აუდიტორიების გარე სიტუაციას აკვირდებოდა.

პარალელურად დამკვირვებლებმა გამოკითხეს 973 აბიტურიენტი, 764 მშობელი და 340 გამოცდის ადმინისტრატორი. მონიტორინგმა ცხადყო თოთხმეტივე ცენტრში ორგანიზებულობისა და გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი. ადმინისტრირებაში მონაწილე პირებს სრულყოფილი ინფორმაცია ჰქონდათ მათი ფუნქციებისა და საგამოცდო პროცედურების შესახებ, რაც სწორი და კარგად გააზრებული დაგეგმვის შედეგი იყო.

გაგრძელება A3 გვერდზე

# შავი ზღვის შელფზე ნავთობის მოსაპოვებლად კონსორციუმი შეიქმნა

შავი ზღვის შელფზე ნავთობის მოპოვების მიზნით სამუშაოებს ახლად შექმნილი კონსორციუმი განახორციელებს, რომელშიც ამერიკული კომპანია "ანადარკო", "ბრიტიშ პერტოლიუმი" (BP) და TPI (თურქეთის ეროვნული ნავთობის კომპანია) შედიან.

როგორც ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტოს თავმჯდომარემ, ანდრო კოტეტიშვილმა "ჯი-ეიჩ-ენ"-ს განუცხადა, კონსორციუმში გაერთიანებას კიდევ ერთი უმსხვილესი ამერიკული კომპანია აპირებს, რომელთანაც მოლაპარაკებები თვის ბოლოს დასრულდება.

მისივე თქმით, აღნიშნული კომპანიები მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი კომპანიების ათეულში შედიან. როგორც კოტეტიშვილმა განაცხადა, "BP" ნავთობის მოპოვების მიზნით ბურღვით სამუშაოებს შავის ზღვის აკვატორიაში, კერძოდ, თურქეთის ტერიტორიაზე, საქართველოს საზღვრიდან 1000 მეტრის დაშორებით, აგვისტოს ბოლომდე დაიწყებს. ამის შემდეგ ბურღვითი სამუშაოების დაწყება საქართველოს შავი ზღვის შელფზეც დაჩქარდება.

კომპანია "ანადარკომ", რომელსაც საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში გაზისა და ნავთობის რესურსებით სარგებლობისათვის ლიცენზია ნავთობის მეორე "ა", მეორე "ბ" და მესამე სალიცენზიო ბლოკებზე აქვს, საკვლევ-საძიებო სამუშაოები ამ ტერიტორიაზე უკვე ჩაატარა.

როგორც კოტეტიშვილმა განაცხადა, "ანადარკომ" განაცხადი დანარჩენ სალიცენზიო ბლოკებზეც წარმოადგინა, რომლებიც ასევე შავი ზღვის შელფზე მდებარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ "ანადარკომ" ლიცენზია ამ ბლოკებზეც მოიპოვა, საქართველოს შავი ზღვის შელფი მთლიანად კონსორციუმის განკარგულებაში იქნება.

ამ ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვებაში, სავარაუდოდ, 2 მილიარდი დოლარის ინვესტირება იგეგმება. კოტეტიშვილის განცხადებით, თუ ამ ტერიტორიაზე ნავთობი იპოვეს, საქართველო 100 წლის მანძილზე ნავთობპროდუქტებით 100 პროცენტით უზრუნველყოფილი იქნება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობა ამჟამად წელიწადში საშუალოდ 1 მილიონ ტონა ნავთობპროდუქტებს (ბენზინი, დიზელი, მაზუთი, თხევადი გაზი და სხვა) მოიხმარს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# სატელეფონო მოსმენები და ვიდეოგადაღება - ფინანსური პოლიციის მტკიცებულება

ფინანსური პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ, რამდენიმე დღის წინ, ფულის გამოძალვის ფაქტზე დაკავებულ სადაზღვევო კომპანია "იმედი L"-ის ფილიალის დირექტორს მაია ქობალავას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ აღმკვეთ ღონისძიებად შინაპატიმრობა შეუფარდა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებითვე, ქობალავას მეუღლეს შპს "თაობის" დირექტორს პაატა ინაურს - წინასწარი პატიმრობა, ხოლო სამშენებლო კომპანია "ახალი სტილის" მთავარ ბუღალტერს მაია ტყეშელაშვილს პოლიციის ზედამხედველობა შეეფარდათ.

როგორც გაირკვა, მაია ქობალავა, მისი მეუღლე პაატა ინაური და მაია ტყეშვილი სამართალდამცველებმა ფინანსურ პოლიციაში შესული ერთ-ერთი მოქალაქის განცხადების საფუძველზე დააკავეს. განცხადების ავტორი იუწყებოდა, რომ მან 2004 წელს ზემოთ დასახელებულ პირებს ყალბი ანგარიშფაქტურები მიჰყიდა.

**"ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება. განცხადების ავტორის ინფორმაციით, მას ქობალავა, ინაური და ტყეშელაშვილი ფულის გამოძალვის მიზნით, მობილურ ტელეფონზე უკავშირდებოდნენ და ემუქრებოდნენ. საქმე ისაა, რომ მათ საგადასახადო უწყებასთან პრობლემა შეექმნათ. ჩვენ სასამართლოსგან ავიღეთ ნებართვა სატელეფონო მოსმენების განხორციელებასთან დაკავშირებით, განხორციელდა ვიდეოგადაღებაც, რის შემდეგაც დაიგეგმა ოპერატიული ღონისძიება და სამივე ეჭვმიტანილი - ინაური, ტყეშელაშვილი და ქობალავა ფულის გამოძალვის მომენტში დავაკავეთ",** - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში.

*24 საათი*

# "აჭარა კრიმინალებისგან თავისუფალ ზონად უნდა გამოცხადდეს"

საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინ აჭარაში დამატებით 144 პატრულის მობილიზება მოახდინა. როგორც სამინისტროში აცხადებენ,

გაძლიერებული პატრულირება აჭარაში საკურორტო სეზონის დასრულებამდე განხორციელდება. დამსვენებლებს სპეციალიური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლები, კრიმინალური და საპატრულო პოლიცია ერთად დაიცავს.

ჩვენი ინფორმაციით, ბათუმსა და ქობულეთში დამატებით 200-200 პოლიციელი იმუშავებს. გუშინ ბათუმის თეატრის შენობასთან, იქ ახლად ჩასული და ადგილობრივი პატრულების ერთიანი სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია გაიმართა. სქემის მიხედვით, აჭარა 37 სექტორად არის დაყოფილი, თითოეული სექტორი 3-4 კილომეტრს მოიცავს და ჰყავს პასუხისმგებელი პირი.

აჭარაში საკურორტო სეზონზე უსაფრთხოების დაცვის სპეციალური სქემა ბათუმის სახელმწიფო თეატრში შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზეიმო ვითარებაში წარადგინა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი გუშინ ირწმუნებოდა, რომ წლევანდელი საკურორტო სეზონი კრიმინალებისგან თავისუფალი და უსაფრთხოების თვალსაზრისით კომფორტული იქნება.

*24 საათი*

# ირაკლი ოქრუაშვილი: "ტექნიკა რუსულ მხარეს დაუბრუნდება"

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი მიუღებლად აფასებს გონიოს სამხედრო პოლიგონზე წვრთნების ჩასატარებლად რუსული მხარის მიერ გამოჩენილ ინიციატივას და რუსი სამხედროებისგან მიღწეული შეთანხმების შესრულებას მოითხოვს. კერძოდ, სამხედრო საკითხებზე საქართველო-რუსეთს შორის მოლაპარაკებებისას, მიღწეულ იქნა შეთანხმება "გონიოს" სამხედრო პოლიგონზე ყველა სახის სროლების შეწყვეტის შესახებ. როგორც მინისტრი აცხადებს, დაკავებული ჯავშან-ტექნიკა რუსულ მხარეს დაუბრუნდება, მაგრამ ანალოგიურ შემთხვევის გამეორებას უფრო მკაცრი რეაგირება მოჰყვება. "ჩვენ ვერ მოვითმენთ მიღწეული შეთანხმებისა და დადგენილი წესების დარღვევას. საკურორტო სეზონზე - როცა ხალხი ზღვაზე ისვენებს, 500 მეტრის მოშორებით ტანკიდან სროლის ხმა არ უნდა ისმოდეს," - აცხადებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი. ბათუმში დისლოცირებული რუსული მე-12 სამხედრო ბაზიდან გუშინ გონიოს პოლიგონისკენ მიმავალი ჯავშან-ტექნიკა ქართველმა სამხედროებმა დააკავეს. რუსმა სამხედროებმა ქართულ მხარესთან მიღწეული შეთანხმება უკვე მეორედ დაარღვიეს.

*ინტერპრესნიუსი*

# განცხადება

2005 წლის 4 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ ქ. ბათუმში არსებული სკოლების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვის ღია ტენდერის გამოცხადების შესახებ განცხადებაში შეტანილი იქნა ცვლილებები:

1. მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: "დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 21 ივლისიდან 22 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6 . ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო.

2. მე-8 პუნქტში არსებული ვადა "2005 წლის 23 ივლისი" შეიცვალა "2005 წლის 25 ივლისით".

3. მე-9 პუნქტში მითითებული ვადა "2005 წლის 25 ივლისიდან 2005 წლის 26 ივლისის 17 საათამდე" შეიცვალოს ვადით "2005 წლის 28 ივლისიდან 2005 წლის 29 ივლისის 17 საათამდე"

4. მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: "პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთ ან რამდენიმე ლოტზე ერთდროულად სატენდერო წინადადება".

4. მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: "ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდება ერთ ან რამდენიმე ლოტზე ერთდროულად".

# ახალი მერის ახალი კადრები

პირველი გვერდიდან


გიგი უგულავა წარადგენს მერიის და მთავრობის ახალ კადრებს.

ყოფილმა ვიცე-პრემიერმა და მერიის კანონიერების დაცვის ინსპექციის ყოფილმა უფროსმა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებები უკვე დაწერეს. ტარიელ ხიზანიშვილსა და გიორგი ასათიანს კი ჯერ არ დაუწერიათ (ეს უკანასკნელი საქართველოში არ იმყოფება), ისინი სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე გაათავისუფლეს. მერიისა და საკრებულოს აპარატის უფროსი გივი ორდენიძე კი, რომელმაც გათავისუფლების შესახებ განცხადება ზურაბ ჭიაბერაშვილის წასვლის დღესვე დაწერა, აპარატის უფროსის მოვალეობას, ჯერჯერობით, კვლავ შეასრულებს. ქალაქის ახალმა მერმა მისი განცხადება არ დააკმაყოფილა.

ქალაქის მთავრობისა და საქალაქო სამსახურების დანარჩენი წევრები კი საქმიანობას ძველებურად გააგრძელებენ, მათ შეცვლაზე ჯერ ხმამაღლა არავინ საუბრობს.

რაც შეეხება გიგი უგულავას სამომავლო გეგმებსა და ქალაქის ბედს, როგორც თბილისის ახალი მერი აცხადებს, საქმიანობას იმ მიმართულებით გააგრძელებს და იმ პრიორიტეტებით იხელმძღვანელებს, რითიც ყოფილი მერი ხელმძღვანელობდა. ახალი მერი ქალაქის მმართველობისა და თვითმმართველობის მოსამსახურეთა კონკურსის ვადის გადაწევასაც არ აპირებს. ანუ, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების შეტანა 18 ივლისიდან დაიწყება. დაინტერესებულმა პირებმა ანკეტისა და საჭირო ცნობების მისაღებად საგამოფენო ცენტრის მეთერთმეტე პავილიონს უნდა მიაკითხონ.

# სემინარი ქართველი და ოსი ჟურნალისტებისათვის

ცხინვალში 10 ქართველი და ამდენივე ოსი ჟურნალისტისთვის ორგანიზებული სასწავლო სემინარი დასრულდა. კონფლიქტების გაშუქების პროფესიული უნარების ტრენინგის ორგანიზატორები და დამფინანსებლები საქართველოში ეუთო-ს მისია და თბილისში დიდი ბრიტანეთის საელჩო იყვნენ. სემინარს, რომლის პირველი ეტაპი 6-10 ივნისს, ხოლო მეორე - 11-14 ივლისს გაიმართა, კონფლიქტის სამართლიანი, მიუკერძოებელი და ზუსტი გაშუქების საკითხებს ეხებოდა და მას თომსონის ფონდის ექსპერტები უძღვებოდნენ.

ცხინვალში ჟურნალისტთა სწავლების მეორე ეტაპის დასრულებისას საზეიმო დახურვა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა როი რივმა, კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა და საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენლებმა.

სემინარში მონაწილე ქართველ და ოს ჟურნალისტებს ტრენინგის წარმატებით დასრულების სერტიფიკატები გადაეცათ.

ეუთოს ცხინვალის ოფისში ტრენინგის დახურვისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე ქართული და ოსური მხარეების, ასევე, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა ტრენინგგავლილ ჟურნალისტებთან თანამშრომლობის იმედი გამოთქვეს.

სამხეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა იმედი გამოთქვა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის თემის გაშუქებისას ქართველი და ოსი ჟურნალისტები **"მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან მასალის მომზადებას, თავისი საქმიანობით ხელს შეუწყობენ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესს და უარს იტყვიან კონფლიქტის გაღვივების პრაქტიკაზე."**

**"ვიმედოვნებ, რომ თქვენ სიმართლის თქმისა და გავრცელების ავანგარდში იქნებით და ჟურნალისტისათვის უმთავრესს - სინდისს შეინარჩუნებთ,"** - აღნიშნა ცხინვალის ოფისში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ.

ტრენინგის ხელმძღვანელის, თომსონის ფონდის წარმომადგენლის, ბრიტანელი ჟურნალისტის რასელ ისააკის განცხადებით, ცხინვალში ტრენინგით ქართველი და ოსი ჟურნალისტების თანამშრომლობის ახალი ეტაპი დაიწყო და ის მომავალში აუცილებლად გაგრძელდება.

*24 საათი*

# გაუჩინარებული ოთხი ქართველის ახლობლები სამძებრო ღონისძიებების განახლებას ითხოვენ

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართული მოსახლეობა უნდობლობას უცხადებს სახელმწიფო მინისტრს გიორგი ხაინდრავას და ქართულ-ოსურ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხებისგან მის ჩამოცილებას ითხოვს.

ცხინვალში გაუჩინარებული ხაჭაპურიძეების ძმა, ლევან ხაჭაპურიძე აცხადებს, რომ მან კონფლიქტის ზონაში ქართველ მოსახლეობასთან ხაინდრავას ჩასვლა ჰაერში ავტომატის გასროლით გააპროტესტა, რადგან, მისი თქმით, სახელმწიფო მინისტრის არც თავად სჯერა, არც ქართულ და არც ოს მოსახლეობას.

ლევან ხაჭაპურიძე იმუქრება, რომ, თუ ხაინდრავა კონფლიქტის ზონაში ჩასვლას კიდევ გაბედავს, მას "პირდაპირ ესვრიან".

**"მოღალატე და გამყიდველი ხაინდრავა კონფლიქტის მომგვარებელი კი არა, გამჩაღებელია, რომელსაც დღეს გაერო-ს ფულის ინტერესი აქვს,"** - აცხადებს ხაჭაპურიძე, რომელიც ირწმუნება, რომ ამ პოზიციას ხეობაში მცხოვრები მთელი ქართველი მოსახლეობა იზიარებს.

მოსახლეობის უნდობლობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს გიორგი ხაინდრავა და აცხადებს, რომ ქართულ მოსახლეობას ბოლოს ის გუშინ, ქართულ სოფლებში - თამარაშენსა და ქურთაში - შეხვდა. სახელმწიფო მინისტრს აინტერესებს, **"ვისი სახელით აპირებს ლევან ხაჭაპურიძე სახელმწიფო მინისტრისთვის იარაღის სროლას".** მისივე თქმით, თუ ხაჭაპურიძე სისხლის სამართლის დანაშაულს ჩაიდენს, მას პასუხი კანონის შესაბამისად მოეთხოვება.

6 ივნისს გატაცებული ქართველების ახლობლებმა გუშინ გზა ერგნეთის საგუშაგოსთან გადაკეტეს და გატაცებულების დასაბრუნებლად ზომების მიღება, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან ერთად, ცენტრალურ ხელისუფლებასაც მოსთხოვეს. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ დაკარგულების შესახებ რაიმე ახალი ინფორმაციის მიღებამდე ისინი გზას არ გახსნიან.

*პრაიმ-ნიუსი*






## მოკლედ

### ვალერი გელაშვილი თავდასხმაში ბრალს ხელისუფლებას სდებს

გუშინ დილით, სპეციალური რეისით, დეპუტატი ვალერი გელაშვილი ვილნიუსში გადააფრინეს. როგორც აეროპორტში გელაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, იგი დარწმუნებულია, რომ მასზე თავდასხმა ხელისუფლების პასუხი იყო მის მიერ ბოლო დროს პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებზე. ასეთივე აზრის არის გელაშვილის თანაგუნდელი, "რესპუბლიკელი" ივლიანე ხაინდრავა, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ ყაჩაღური თავდასხმები, როგორი კვალიფიკაციაც უნდათ სამართალდამცავებს ამ ინციდენტს რომ მისცენ, ასეთი ფორმით არ ხდება.

*ინტერპრესნიუსი*

### გაზსა და ელექტროენერგიაზე ტარიფები მცირდება

1 ივლისიდან საქართველოს მოსახლეობა გაზისა და ელექტროენერგიის შემცირებულ ტარიფებს გადაიხდის. ამის საფუძველი, ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, 1 ივლისიდან დამატებითი ღირებულების გადასახადის განაკვეთის 20 პროცენტიდან 18 პროცენტამდე შემცირება გახდა.

როგორც საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისის (სემეკ) თავმჯომარემ გია თავაძემ დღეს გამართულ სხდომაზე განაცხადა, ტარიფში დღგ-ს წილიც არის გათვალისწინებული და მისი შემცირება, შესაბამისად, გაზისა და დენის ტარიფების შემცირებასაც იწვევს.

კერძოდ, 1 ივლისიდან ელექტროენერგიის საფასურის სახით მოსახლეობა ყოველ 1 კილოვატსაათზე 12,8 თეთრის ნაცვლად, 11,97 თეთრს გადაიხდის. რაც შეეხება გაზის ტარიფს, თბილისის მოსახლეობისთვის ის 1 კუბურ მეტრზე, 27 თეთრის ნაცვლად, 26,5 თეთრი გახდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თვითაღიარებული აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის პრეზიდენტების სამიტი ივლისის ბოლოს სოხუმში, მთიანი ყარაბაღის პრეზიდენტის გარეშე გაიმართება.

სოხუმის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის პრეზიდენტები - სერგეი ბაღაფში, ედუარდ კოკოითი და იგორ სმირნოვი სოხუმის სამიტზე ხელს ერთობლივ პოლიტიკურ განცხადებას მოაწერენ.

მისივე თქმით, თვითაღიარებული რესპუბლიკების პრეზიდენტების განცხადებაში გამოხატული იქნება სოხუმის, ცხინვალისა და ტირასპოლის პოზიცია მსოფლიოს ახალ გადანაწილებასა და გეოპოლიტიკურ თამაშებში აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის ხელისუფლების დამოკიდებულებაზე და, საჭიროების შემთხვევაში, მათ შორის კოორდინებულ საქმიანობაზე.

მთიანის ყარაბაღის პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, თვითაღიარებული რესპუბლიკების ივლისის ბოლოსათვის დაგეგმილ სამიტში მონაწილეობას არ მიიღებს მთიანი ყარაბაღის პრეზიდენტი არკადი გუკასიანი. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ისაკაძე შეშფოთებას გამოთქვამს პარლამენტარ ვალერი გელაშვილზე 14 ივლისს განხორციელებული თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, "გაერთიანებული ქართული ბანკის" პრეზიდენტის თამაზ მაღლაკელიძის გატაცების შემდეგ, საქმიანი ადამიანების დატერორების შემთხვევები თითქოს მთლიანად აღიკვეთა და მივიწყებას მიეცა. თუმცა, გუშინდელმა მოვლენამ ეს თემა კვლავ დღის წესრიგში დააყენა. "ნუ ვიტრაბახებთ იმით, რომ ვალერი გელაშვილზე თავდასხმა პოლიტიკური ანგარიშსწორება არ ყოფილა და უბრალო კრიმინალია. ყაჩაღობა დედაქალაქის ცენტრში, დღისით, ჩვენს საინვესტიციო გარემოზე დადებითად ნამდვილად არ იმოქმედებს," - განაცხადა გიორგი ისაკაძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სექტემბრიდან ჟურნალისტებთან თანამშრომლობის ახალ სტილს გეგმავს. როგორც გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში ჟურნალისტთა პრესკლუბის პრეზენტაციაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, პრეს-კლუბის დაარსების მიზანი ჟურნალისტებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარება იქნება. მისი თქმით, გაიმართება არაოფიციალური შეხვედრები, სადაც ჟურნალისტებს და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ, ბევრ ისეთ საკითხზე იმსჯელონ, რომლის საშუალებასაც მათ დიპლომატიური ეთიკა არ აძლევთ. როგორც ზურაბიშვილი აცხადებს, გაიმართება გარკვეული დისკუსიები ქვეყანაში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესებზე. როგორც გუშინვე გახდა ცნობილი, სექტემბრიდან იგეგმება ასევე ჟურნალისტთა და საქართველოში მოღვაწე დიპლომატთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გამართვა, რომელიც, სალომე ზურაბიშვილის თქმით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროფესიონალიზმის ამაღლებას როგორც ჟურნალისტებში, ასევე საგარეო უწყების თანამშრომლებში. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# უარის პირველი ეტაპი

პირველი გვერდიდან

ცესკო-ს თავმჯდომარის შეფასებით, სარეფერენდუმო შეკითხვა ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანულ კანონს რეფერენდუმის შესახებ.

**"ქავთარაძე ტყუის,"** - აცხადებს საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი ირაკლი მელაშვილი. საინიციატივო ჯგუფს, ერთი შენიშნვის გარდა, ყველა სხვა აბსურდულად მიაჩნია. **"თუ ფოთში არ უნდათ მერის არჩევა, თბილისელებმა კი, პირიქით, ხმა მისცეს, გამოდის, რომ ფოთში აირჩევენ მერსო, - ასეთი აბსურდულია ცესკო-ს პოზიცია. მე მაინტერესებს, პარლამენტი კანონს რომ იღებს და ამ დროს მას მოწინააღმდეგე გამოუჩნდეს, არ მიიღებენ?"** - ამბობს ირაკლი მელაშვილი.

**"თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს ყველა დასახლებული პუნქტის (ქალაქის, დაბის, თემისა და სოფლის, რომელიც არ შედის თემში) მერი/გამგებელი აირჩეს პირდაპირი არჩევნებით ამ დასახლებული პუნქტების მოსახლეობის მიერ?"** - ამ სარეფერენდუმო შეკითხვის მიმართ ცესკო-ს ერთ-ერთი შენიშვნა ასეთია: **"თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მეორე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობა არჩევითია, იმ ქალაქებში, სადაც მერს პირდაპირი არჩევნების წესით უკვე ირჩევენ (მაგალითად, რუსთავი, ქუთაისი), ამომრჩეველს, თუ ის არ იცნობს ქვეყნის თვითმმართველობის სისტემას მთლიანობაში, შესაძლოა, გაუჩნდეს მოსაზრება, რომ ხდება რეფერენდუმის გზით იმ ინსტიტუტის დაკანონება, რომელიც უკვე არსებობს."** საინიციატივო ჯგუფის წევრების განმარტებით, ხელისუფლება მომავალში ამ ქალაქებშიც აპირებს მერების დანიშვნას, ამიტომ რეფერენდუმი მას ამ ჩანაფიქრის განხორციელების საშუალებას მოუსპობს.



ცესკო-ს შემადგენლობა სრულიად დარწმუნებულია თავისი უარის არგუმენტებში.

საინიციატივო ჯგუფს მოქმედების რამდენიმე ვარიანტი აქვს შემუშავებული. ჯერჯერობით კი, ისინი დაელოდებიან უარის თქმის არგუმენტაციას, გაფორმებულს ოფიციალური დოკუმენტის სახით. **"ჯერჯერობით, დაზუსტებით ვერ გეტყვით, რას მოვიმოქმედებთ, ვიდრე არგუმენტაციას ოფიციალურ დოკუმენტში არ ვიხილავთ. თქვენ მალე ნახავთ, რომ ქავთარაძის განცხადება და ოფიციალური არგუმენტაცია ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული იქნება,"** - ამბობს ირაკლი მელაშვილი.

ცენტრალური წინასაარჩევნო კომისიის ყოფილმა იურისტმა ლადო სანიკიძემ ცესკო-ს გუშინდელ გადაწყვეტილებას **"უკანონო და დაუსაბუთებელი"** უწოდა. მისი თქმით, ცესკო-ს წევრები მიღებული გადაწყვეტილებების პასუხისმგებლობას ვერ აცნობიერებენ. **"ისინი დღეს ტესტირებაზე რომ გადიოდნენ, კომისიის შვიდი წევრიდან შვიდივე ორიანს მიიღებდა,"** - დასძინა სანიკიძემ.

# დღე მეხუთე

პირველი გვერდიდან

ადგილი არ ჰქონია არც ერთ დარღვევას და სხვა სახის მნიშვნელოვან ხარვეზს. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი დადებითად არის განწყობილი ახალი საგამოცდო სისტემისადმი: აბიტურიენტთა 91 პროცენტი, მშობელთა 80 პროცენტი და გამოცდის ადმინისტრატორთა 93 პროცენტი თვლის, რომ ამ სახით ჩატარებული გამოცდები აბიტურიენტთა შერჩევის გაცილებით უკეთესი ფორმაა, ვიდრე დღემდე არსებული, ასევე, მნიშვნელოვნად ზღუდავს მისაღებ გამოცდებში კორუფციული გარიგებების შესაძლებლობას.

**"აბიტურიენტთა, მშობელთა და გამოცდების ორგანიზატორთა დადებითი პასუხების სიმრავლე აშკარად მეტყველებს ახალი სისტემის წარმატებაზე,"** - განაცხადა პროგრამის ხელმძღვანელმა ქემრინ ქრისტენსენმა. ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მარკ მალენმა კი აღნიშნა, რომ საგამოცდო პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ **"სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს საუნივერსიტეტო განათლების რეფორმაზე, რათა მონდომებულმა სტუდენტებმა ის განათლება მიიღონ, რაც დაიმსახურეს"**. ეს პროცესი უნდა გახდეს მაგალითი სახელმწიფოში მიმდინარე სხვა რეფორმებისთვისაც- აღინიშნა გუშინდელ პრესკონფერენციაზე "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ოფისში.

რაც შეეხება საგამოცდო პრესცენტრის საღამოს ბრიფინგს, ალგირდას ზაბულიონისმა, მსოფლიო ბანკის ექსპერტმა ტექნოლოგიურ საკითხებში, ფრიად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა, რითიც "ჩაწყობის პროექტების" ავტორთა ერთ ჯგუფის იდეას გავანეიტრალებთ. ჰაკერები ვერ მოახერხებენ პროგრამაში "შეძრომას", "დიდი-დიდი ფანჯრიდან გადაძვრნენო," - თქვა ზაბულიონისმა, რადგან სისტემა ინტერნეტში არ არის ჩართული. მან ერთიან ეროვნულ გამოცდებს "21-ე საუკუნის გამოცდებიც" უწოდა და აღნიშნა, რომ ტექნოლოგიურად ეს უახლესი სისტემაა, რომელიც ეფუძნება კრიტერიუმებს: "ობიექტურობა, პროფესიონალიზმი, კეთილგანწყობა, ღიაობა და სისწრაფე". ამ მეთოდით ნამუშევარი ანონიმურად სწორდება. მანვე აღნიშნა, რომ ქართული პრესა კარგად აშუქებს საგამოცდო პროცესს. ეს იყო გუშინ. წინ, პირობითად, "უიქ ენდია", და 18-19 ივლისს ჩატარდება გამოცდები უცხო ენაში.

სამინისტრო სთხოვს აბიტურიენტებს, რომ კიდევ ერთხელ წაიკითხონ საგამოცდო ბარათები და დროულად გამოცხადდნენ მითითებულ ცენტრებში. გაითვალისწინონ, რომ უცხო ენის გამოცდა ორი საათი გრძელდება, რომ რუსული ენა რუსულენოვანი აბიტურიენტებისთვის უცხო ენად არ ითვლება და ამიტომაც არსებობს "ა" და "ბ" ვარიანტი. გამოცდების საბოლოო შედეგები კი 20 აგვისტოს გახდება ცნობილი.

*24 საათი*

# ვინ ესხმის თავს გაზეთ "იმედის" რედაქტორს?

გუშინწინ, გვიან ღამით, გურჯაანის რაიონული გაზეთის "იმედის" რედაქტორის გელა მთივლიშვილის საცხოვრებელი სახლის ეზოში ხელყუმბარა აფეთქდა. აფეთქების შედეგად ჩაიმსხვრა საცხოვრებელი სახლის მინები და დაზიანდა ჭერი. აფეთქების დროს მთივლიშვილის ოჯახის წევრები სახლში იმყოფებოდნენ, თუმცა მათ დაზიანებები არ მიუღიათ.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება უკვე მიმდინარეობს. შექმნილია ოპერატიული ჯგუფი, სამართალდამცველები ექსპერტიზის დასკვნას ელოდებიან, რომლის მიხედვითაც გაირკვევა, რა სახის ხელყუმბარა აფეთქდა რეგიონული გაზეთის რედაქტორის ეზოში.

**"თუ დაზარალებული გელა მთივლიშვილი ამჯერად მაინც ითანამშრომლებს გამოძიებასთან და პოლიციას დეტალების დადგენაში დაეხმარება, დამნაშავის გამოვლენას აუცილებლად შევძლებთ,"** - ირწმუნებოდა გუშინ კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი თემურ ანჯაფარიძე. საქმე ისაა, რომ გელა მთივლიშვილმა, ერთი თვის წინ მასზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ, პოლიციასთან თანამშრომლობა არ ისურვა. მაშინ გელა მთივლიშვილს, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან დაუდგენელი პიროვნება დაესხა თავს და სასტიკად სცემა. დაზარალებულმა რედაქტორმა გურჯაანის რაიონულ პოლიციას უნდობლობა გამოუცხადა და საქმის მოკვლევა სხვა რაიონის სამართალდამცველებისგან მოითხოვა. გაზეთის რედაქტორი გამოძიებისადმი უნდობლობის მიზეზს მაშინ ასე აკონკრეტებდა: **"ინციდენტის დროს პოლიციას დამნაშავის დაკავება შეეძლო, მაგრამ საპირისპიროდ იმოქმედა."** გარდა ამისა, გაზეთის რედაქტორი მომხდარში ადგილობრივი სამართალდამცველების მონაწილეობასაც არ გამორიცხავდა.



ტერორიზებულ რედაქტორთან შეხვედრის შემდეგ ომბუდსმენმა მკვეთრი განცხადებები გააკეთა.

გელა მთივლიშვილი ორივე ინციდენტს ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირებს და აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში მის გაზეთში არაერთი სტატია გამოქვეყნდა, სადაც გურჯაანის რაიონის სამართალდამცველების, ასევე განათლების განყოფილების თანამშრომელთა დანაშაულებრივი ქმედებები იყო მხილებული. **"განადგურების მცდელობა გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილების ადრესატების დაკვეთით ხორციელდება,"** - აცხადებს გაზეთ "იმედის" რედაქტორი.

ჩვენი ინფორმაციით, გუშინწინ ღამით მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, როდესაც მთივლიშვილების საცხოვრებელი სახლის ეზოში ხელყუმბარა ისროლეს, გაზეთის რედაქტორმა პოლიციას უკვე მიმართა. თუმცა, ის ადგილობრივ სამართალდამცველებს კვლავ უნდობლობას უცხადებს.

მომხდარის გასარკვევად და საქმის დეტალების გასაცნობად გუშინ გურჯაანში გაემგზავრა სახალხო დამცველი სოზარ სუბარი. ომბუსმენი გაზეთი "იმედის" რედაქტორს გელა მთიულიშვილს და ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შეხვდა.

**"მომხდარი ფაქტი აღმაშფოთებელია, ეს კახეთში ჟურნალისტებზე ზეწოლის პირველი შემთხვევა არ გახლავთ. თუმცა, არც ერთ ინციდენტზე სამართალდამცველებს სათანადო რეაგირება არ მოუხდენიათ. არ შეიძლება მსგავსი ფაქტები გაუხსნელი დარჩეს",** - ასეთი კომენტარი გააკეთა სოზარ სუბარმა უკვე მეორედ დაზარალებულ რედაქტორთან შეხვედრის შემდეგ.

*24 საათი*

# გაერო აჭარის მედიაზე ზრუნავს

ჭაბა ანანიძე
შორენა ბოჭიძაიშვილი
*ბათუმიდან*

სამდღიანი ტრენინგი, რომელიც საქართველოს გაეროს ასოციაციის აჭარის ორგანიზაციაში ჩატარდა, რეგიონის მოქმედი ჟურნალისტების პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტას უწყობდა ხელს. სასწავლო კურსი მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტის - "მასმედია - არასამთავრობო სექტორებს შორის არაოფიციალური კავშირების დამყარება" - ფარგლებში გაიმართა და სხვადასხვა საჯარო თუ არასამთავრობო სტრუქტურებთან ურთიერთობებზე იყო ორიენტირებული. დატვირთულ, აქტიურ და საინტერესო ტრენინგს საქართველოს ცვლილებებისა და კონფლიქტების მართვის ცენტრი - "პარტნიორები საქართველო"-დან მოწვეული კვალიფიციური ტრენერები უძღვებოდნენ. ეფექტური კომუნიკაციის ტრენინგის ჩატარების იდეა ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა, როცა ამავე ორგანიზაციებმა ტრენინგი აჭარის არასამთავრობო სექტორს ჩაუტარეს. მაშინ, მოვლენის გაშუქების მიზნით მისულმა ჟურნალისტებმა მსგავსი ტრენინგის ჩატარება ითხოვეს.

სირთულეები ჟურნალისტის საქმიანობაში, ბარიერები კომუნიკაციაში, სუბიექტური რეალობა, არავერბალური კომუნიკაცია და იგივე სამშვიდობო ჟურნალისტიკის არსის ძიება, განსჯა, გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების შემუშავება ტრენინგის სამუშაო ობიექტს წარმოადგენდა.

თინა ასათიანი, ტრენერი: **"არ ვიცი, ჯერჯერობით, რა ფუნქციას შეასრულებს ტრენინგი. ჟურნალისტების "დაჭერა" ტრენინგების ჩასატარებლად ძალიან ძნელია, თან, რამდენიმე დღით. ჩვენი სურვილი იყო, ჟურნალისტებს შეძლებისდაგვარად დავხმარებოდით. კომუნიკაციის თემა კონფლიქტების მართვასა თუ სამშვიდობო ჟურნალისტიკაშიც გადადის და საინტერესო განსჯასაც იმსახურებს. ვფიქრობ, საინტერესო საუბრები გამოგვივიდა და შედეგიც ეფექტური იქნება. თან, აჭარის ჟურნალისტები ურთიერთობაში ძალიან გახსნილები არიან და არ არიან ზედმეტად თავდაჯერებულები, კარგად იღებენ სიახლეს. ერთი სიტყვით, აჭარაში ჟურნალისტიკის პროგრესირებისათვის ძალიან დიდი რესურსია."**

**"ჟურნალისტიკაში არის პრობლემები, რომლებსაც ჩაღრმავება და გაანალიზება სჭირდება. არის სიტუაციები, როცა არ იცი, როგორ მოიქცე. ამისთვის არსებობს რაღაც გამოცდილება, რომელიც შემუშავებულია ფსიქოლოგიური მეთოდების სახით და შენ აღარ გჭირდება ახალი ველოსიპედის გამოგონება. ხშირად რესპონდენტთან ურთიერთობა კონფლიქტშიც გადადის, რაც შესაძლოა, თავიდან ავიცილოთ ან შესაბამისი წესებით დავარეგულიროთ,"** - აღნიშნა გაზეთ "ბათუმელების" კორესპონდენტმა სოფო ჟღენტმა.

გაეროს ასოციაციის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი გურანდა თავართქილაძე კი ჟურნალისტებს დაჰპირდა, რომ თუკი სურვილი იქნება, ამგვარი ტრენინგი აჭარაში კვლავ ჩატარდება.

# ყოფილი პოლიციელი მძიმე დანაშაულებშია ექვმიტანილი

*შსს სამინისტრომ კახეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი გოჩა ნაზღაიძე დააკავა. დაკავების ოფიციალურ მიზეზად დასახელდა რამდენიმე წლის წინ ახმეტაში ერთ-ერთ ოჯახზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის ფაქტის დაფარვა. თუმცა, როგორც კახეთის საოლქო პროკურატურაში და პოლიციის რეგიონულ სამმართველოში აცხადებენ, შესაძლოა, გოჩა ნაზღაიძის მიმართ საქმე მკვლელობის მუხლითაც აღიძრას. საქმე ეხება 2003-2004 წლებში დედა-შვილის, დარინა და ნინო პოპუნაშვილების და ცოლ-ქმრის, ვენერა და ომარ ნიბლაძეების გახმაურებულ მკვლელობებს.*

ზვაიდ რუაძე
*კახეთიდან*

გურჯაანის რაიონში ჩადენილი სერიული მკვლელობები რომ გახსნილი იყო, ამის შესახებ კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი თეიმურაზ ანჯაფარიძე მაშინაც საუბრობდა, როცა მისი ყოფილი მოადგილის, ამჟამად დაკავებული გოჩა ნაზღაიძის მძღოლის დასაპატიმრებლად სოფელ ჩალაუბანში სპეცოპერაცია ჩატარდა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოლიციის გეგმამ სამართალდამცველების მხრიდან გაჟონა, რასაც გაუთვალისწინებელი შედეგი მოჰყვა - ბოროტმოქმედებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ტაქსის მძღოლი.

საქმე ისაა, რომ პოლიციის სცენარის მიხედვით, სერიული მკვლელობების გახსნისას სამართალდამცველებმა ტაქსის მძღოლის გუგა შევარდნაძის გამოყენება გადაწყვიტეს, მაგრამ პოლიციის გეგმა გაიშიფრა და ბოროტმოქმედებმა კვალის არევის მიზნით, მძღოლს ყელი გამოჭრეს და გვამის გადამალვა სცადეს. სპეცოპერაცია ტაქსის მძღოლის გუგა შევარდნაძის მკვლელობის გარდა, კიდევ ერთი დამნაშავის, აკაკი კორკოტაშვილის, იგივე "ბომბორას", ლიკვიდაციით დასრულდა, იგი სამართალდამცველების ტყვიის მსხვერპლი გახდა. სპეცოპერაციის შემდეგ წინასწარი დაკავების საკანში მოხვედრილი, სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის გოჩა ნაზღაიძის მძღოლი გოჩა ვარაზაშვილი ალაპარაკდა. დანაშაულში ეჭვმიტანილმა, ტაქსის მძღოლის მკვლელობის გარდა, სხვა დანაშაულებიც აღიარა. მისი ჩვენებიდან ირკვევა, რომ 1993 წელს ცოლ-ქმრის ვენერა და ომარ ნიბლაძეების, ხოლო 2004 წელს დედა-შვილ პაპუნაშვილების მკვლელობა მან ჩაიდინა. გავრცელებული ინფორმაციით კი, მკვლელობის შემკვეთად გოჩა ვარაზაშვილმა კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე გოჩა ნაზღაიძე დაასახელა.

თუმცა, ამჯერად, გოჩა ნაზღაიძის დაკავება რამდენიმე წლის წინ ახმეტაში ჩადენილი ბინის ქურდობის მიჩქმალვას უკავშირდება. კახეთის სამხარეო პოლიცია და საოლქო პროკურატურა არ გამორიცხავენ, რომ შესაძლებელია გურჯაანში განხორციელებულ სერიულ მკვლელობებსა და ნაზღაიძეს შორის რაიმე კავშირი მართლაც არსებობდეს. **"ამ ეტაპზე ნაზღაიძის დაკავება უკავშირდება ერთ კონკრეტულ ფაქტს, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ გამოძიების დროს კიდევ უამრავ გაუხსნელ საქმეს აეხადოს ფარდა. მკვლელობები, რომლებიც გურჯაანში მოხდა, სწორედ მისი მძღოლის გოჩა ვარაზაშვილის მიერაა ჩადენილი,"** - "24 საათთან" სატელეფონო საუბრისას ასეთი კომენტარი გააკეთა კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა თეიმურაზ ანჯაფარიძემ.

სამართალდამცველები არ გამორიცხავენ იმასაც, რომ ნაზღაიძე და მის მძღოლი პარტნიორები იყვნენ პანკისის ხეობაში ადამიანთა გატაცებისა და ნარკოტიკების რეალიზაციის საქმეშიც.

კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე შინაგან საქმეთა თელავის სამმართველოს წინასწარის დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი.

# სემეკ-მა გსეკ-ი დარღვევებში დაადანაშაულა

*ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, გუშინ, გაერთიანებული სადიტრიბუციო ენერგოკომპანიის მიერ რეგიონებში განხორციელებული კომუნალური გამრიცხველიანების პროცესი განიხილა. სემეკ-ის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტმა გსეკ-ი დარღვევებში დაადანაშაულა, რასაც ნაწილობრივ სადისტრიბუციო კომპანიაშიც ადასტურებენ.*

მარიამ ჭაჭვაძე

კომისიის გუშინდელ სხდომაზე სემეკის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ლალი გოგიშვილმა განაცხადა, რომ კომისიის დადგენილება, რომელიც კომუნალური მრიცხველების დამონტაჟებას ითავალისწინებს, გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ დარღვევებით განახორციელა. გოგიშვილის თქმით, მოსახლეობას ელექტროენერგიის საფასური სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ, დადგენილების დარღვევით დააკისრა და ამით, ხშირ შემთხვევაში, მომხმარებლის სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. **"ამასთან დაკავშირებით, სემეკ-ში არაერთი საჩივარია შემოსული უკმაყოფილო მოსახლეობის მხრიდან. ამ საჩივრებიდან რამდენიმე მათგანი ჩვენმა დეპარტამენტმა საფუძვლიანად, ადგილზე სიტუაციის გაცნობით შევისწავლეთ,"** - განაცხადა გოგიშვილმა. მისივე თქმით, მომხმარებელთა საჩივრების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ არ შეათანხმა მოსახლეობასთან კომუნალური მრიცხველის დადგმის საკითხი, არ გააცნო მათ საფასურის გადახდის პროცედურები, არ მიაწოდა ინფორმაცია დადგმული მრიცხველის პირველადი ჩვენების შესახებ, არ მოახდინა საერთო მოხმარების მრიცხველის ჩვენებიდან სამფაზა მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გამოკლება, არ შეისწავლა უბნებში გამართული ინდივიდუალური მრიცხველების მქონე აბონენტები და არ მოახდინა საერთო მოხმარების მრიცხველის ჩვენებიდან მათი გამოკლება. ამასთან, კომპანიამ ინდივიდუალური მრიცხველების შეძენის და გარეთ გამოტანის ხარჯები მოსახლეობისგან ითხოვა, მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიის საფასურის 80 პროცენტის გადახდის შემთხვევაში, მომხმარებლები მაინც გათიშა და არ განახორციელა ინდივიდუალური გამორთვები, - ეს არის იმ დარღვევათა სრული ჩამონათვალი, რაშიც სემეკის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტმა გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია ამხილა. **"მომხმარებელთა განცხადებიდან ირკვევა, რომ კომუნალური გამრიცხველიანების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. ენერგოკომპანიის ადგილობრივი წარმომადგენლის მიერ ხშირად ირღვევა მომხმარებლის უფლებები,"** - განაცხადა გოგიშვილმა.

კომუნალურ გამრიცხველიანებაში არსებული დარღვევების გამოსასწორებლად, სემეკმა გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას ვადა 1 სექტემბრამდე მისცა. სემეკ-ის თავმჯდომარემ გიორგი თავაძემ განაცხადა, რომ კომუნალურ გამრიცხველიანებას ენერგოსექტორისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუმცა, ეს პროცესი მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ხარჯზე არ უნდა განხორციელდეს.

გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში კომუნალური გამრიცხველიანების პროცესში დარღვევების არსებობას არ გამორიცხავენ. როგორც გუშინ, სემეკის სხდომაზე საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენრგოკომპანიის დირექტორის მოადგილემ გია წკრიალაშვილმა განაცხადა, ხარვეზები კომუნალურ გამრიცხველიანებაში მართლაც არსებობს, მაგრამ ამ პროცესის შედეგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მან არ უნდა დაჩრდილოს კომუნალური გამრიცხველიანების შესახებ ქვეყანაში მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილება. **"ჩვენ ინდივიდუალურ გამრიცხველიანებაზეც ვმუშაობთ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 20 მილიონი ლარი, რომლის უმეტესი ნაწილი ინდივიდუალური გამრიცხველიანებისთვის დაიხარჯება. 2005 წლის ბოლოსთვის, ინდივიდუალურად გამრიცხველიანებული იქნება 70 ათასი აბონენტი, ხოლო 2006 წლის მაისისთვის - 110 ათასი აბონენტი,"** - განაცხადა წკრიალაშვილმა.

მისი თქმით, კომუნალური გამრიცხველიანების დასრულების შემდეგ, საქართველოს გაერთიაენბულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ მოსახლეობიდან ელექტროენერგიის ამოღების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. ბოლო თვეში ამოღებულია ორი მილიონი ლარით მეტი.

## გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ბატონ გ. პაპუაშვილს

## საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ თ. ხიდაშელს

ბატონებო,

2005 წლის 1 ივლისის გაზეთ "24 საათში" (№000467048) გამოქვეყნებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება წიაღით სარგებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე, სადაც ერთ-ერთ სალიცენზიო ობიექტად დასახელებულია ყაზბეგის რაიონში, თრუსოს ხეობაში განლაგებული უნიკალური მინერალური წყლის წყაროები მათი თანმხვედრი ნახშირორჟანგა გაზის ($CO_2$) მოპოვების მიზნით.

გვინდა საზოგადოებას შევახსენოთ:

1. მისი უნიკალურობიდან გამომდინარე, თრუსოს ხეობის მინერალური წყლები საქართველოს მინისტრთა საბჭოს №710 დადგენილებით (დანართი №7) ჯერ კიდევ 1965 წელს გამოცხადებული იყო სახელმწიფო დაცვას დაქვემდებარებულ "ბუნების ძეგლად".

2. აღნიშნული ხეობა წარმოადგენს საქართველოს ეკოსისტემების საგანძურს და ის ერთნაირად უნიკალურია როგორც ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტური, გეოლოგიური თუ ისტორიული კუთხით, ასევე ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით.

ჩვენ კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპების უგულებელყოფითა და ბუნებრივი რესურსების არასწორი მოხმარების გზით. ბუნებრივი რესურსების ნებისმიერი არასწორი ად დაუსაბუთებელი ხელყოფა იწვევს მძიმე შედეგებს, რისი გამოსწორებაც სახელმწიფოს გაცილებით ძვირი დაუჯდება, რომ არაფერი ვთქვათ შეუქცევად ეკოლოგიურ პროცესებზე.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები მოვითხოვთ, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შედგეს იმ არგუმენტაციების საჯარო განხილვა, რის საფუძველზეც თრუსოს ხეობის მინერალური წყლების საბადოები ჩართული იქნა სალიცენზიო ობიექტების ნუსხაში.

*პატივისცემით,*
*გარემოს დაცვის ლიგა - მ. კაპანაძე*
*კავშირი "ეკოლოგიისა და სამართლის ინსტიტუტი" - თინათინ დვალი*
*საქართველოს მაწვანეთა მოძრაობა (დედამიწის მეგობრები საქართველო) - რუსუდან სიმონიძე*
*მწვანე ალტერნატივა - მანანა ქორლაძე*
*გარემოსა და ცხოველთა უფლებების დამცველი კავშირი "ლობო" - ლაშა ჩხარტიშვილი*
*საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი - ლია თოდუა*
*ახალგაზრდა ბუნებისმეტყველთა ასოციაცია - შალვა აბრამიშვილი*
*საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია - I ვიცე-პრეზიდენტი მ. ციცქიშვილი*
*კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი - ე. კაკაბაძე*
*საქართველოს ნაციონალური ეკოლოგიური ცენტრი - მარინე ნიკოლაშვილი*
*საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია - აკად. გ. იორდანიშვილი*
*კავშირი "ჟურნალისტები და საზოგადოება" - ნ. ჭელიძე*

## ორი სიტყვით

**მაროკო.** მაროკოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უკანასკნელი 2 კვირის მანძილზე ქვეყანაში დააკავეს 640 ადამიანი, რომლებიც არალეგალური გზით ცდილობდნენ, სამეფოს ტერიტორიის გავლით, ევროპაში მოხვედრას. დაკავებულ პირთა შორის 209 მაროკოს სამეფოს ქვეშევრდომია, ხოლო დანარჩენები საჰარის სამხრეთით არსებული აფრიკული ქვეყნების მკვიდრნი. მაროკოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, არალეგალური ემიგრანტები ზღვის საშუალებით აპირებდნენ ესპანეთში გადასვლას. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში არალეგალები იყენებენ მცირე ზომის ნავებს, რომელთაც სხვაგვარად "სიკვდილის ნავებიც" ეწოდება მათი არასრულყოფილი ტექნიკური მდგომარეობის გამო. ვინაიდან ევროპაში მოხვედრის მსურველ არალეგალთა რიცხვი არ კლებულობს, ჩრდილოაფრიკული სახელმწიფოების სანაპირო დაცვის თანამშრომლები იძულებულნი არიან, ყოველ კვირას ჩაატარონ "სიკვდილის ნავების" მგზავრთა სამაშველო სამუშაოები. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**კავკასია.** ჩეჩნეთში ავტომანქანის აფეთქების შედეგად რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ხუთი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. ინციდენტი ქალაქ შალის გარეუბანში, გზაზე მოხდა. თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ნაგვის გროვაში იყო დამალული. რადიომართვადი ფუგასი იმ დროს ამოქმედდა, როცა მას "ურალის" მარკის სამხედრო ავტომანქანა გაუსწორდა. აფეთქების შედეგად დაჭრილი ხუთივე სამხედრო მოსამსახურე საავადმყოფოშია მოთავსებული. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**უკრაინა.** პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო კიევში შეხვდა მოლდავეთის სეპარატისტული რეგიონ დნესტრისპირეთის ლიდერს, იგორ სმირნოვს, კონფლიქტის მოგვარების უკრაინულ ინიციატივაზე მოსალაპარაკებლად. იუშენკო მაისში გამოვიდა სამშვიდობო ინიციატივით, რომელიც 7 პუნქტისაგან შედგება და ითვალისწინებს რეგიონის ფართო ავტონომიას მოლდავეთის შემადგენლობაში. უკრაინის ოფიციალური წარმომადგენლების ინფორმაციით, იუშენკომ და სმირნოვმა განიხილეს პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები. **რადიო თავისუფლება**

# აშშ-ს მრავალმხრივი ინტერესები ცენტრალურ აზიაში

პირველი გვერდიდან

მაიერსის მკვეთრი განცხადების საბაბი 5 ივლისს ასტანაში "შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის" სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება გახდა. შეგახსენებთ, აზიის სახელმწიფოთა ჯგუფმა (რუსეთი, ჩინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი) რეგიონში დისლოცირებული აშშ-ს ბაზების დახურვის ვადის დასახელება მოსთხოვა.

ასტანის სამიტზე მიღებული დეკლარაციის თანახმად, უზბეკეთმა და ყირგიზეთმა უკვე გააკეთეს შესაბამისი განცხადებები. სხვათა შორის, უზბეკეთის ხელისუფლებამ უფრო ადრეც დაუწესა შეზღუდვები თავის ტერიტორიაზე განთავსებულ ამერიკულ სამხედრო-საჰაერო ბაზას, რითიც, ფაქტობრივად, აიძულა ვაშინგტონი, მის სასწრაფო გადატანაზე ეზრუნა. რაც შეეხება ყირგიზეთს - ბაკიევის განცხადება შედარებით ზომიერი იყო, თან, ნიშანდობლივია, რომ "ტიტების რევოლუციის" ერთ-ერთმა ლიდერმა მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ გააცხადა ყირგიზეთის სურვილი იმის შესახებ, რომ აშშ-სთან ერთად განიხილოს ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ ამერიკელ სამხედროთა ყოფნის ვადები.

**"ვფიქრობ, რომ ორი ძალიან დიდი ქვეყანა ცდილობს, შეაშინოს პატარა ქვეყნები. მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა,"** - ასე აფასებს პენტაგონის წარმომადგენელი შანხაის კომუნიკეს. **"შუა აზიაში უსაფრთხოება და სტაბილურობა - მნიშვნელოვანი იდეაა და ის, ვისაც უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველყოფა შეუძლია, იქ სასურველი სტუმრები უნდა იყვნენ,"** - განმარტა გენერალმა მაიერსმა.

მან ასევე განაცხადა, რომ აშშ-ს ბაზები უზბეკეთსა და ყირგიზეთში მარტო ავღანეთში მიმდინარე ოპერაციის გამო არ არის განთავსებული, რადგან ეს რეგიონი აშშ-სთვის "მრავალი ასპექტითაა" მნიშვნელოვანი. მისი თქმით, უზბეკეთი ისლამური მოძრაობისგან მომდინარე ტერორიზმს შეეჯახა და აშშ ამ ქვეყანას უნდა დაეხმაროს.

თუმცა, განსხვავებული აზრი აქვთ პეკინსა და მოსკოვში. ჩინეთის ოფიციალური პრესაში დროდადრო ჩნდება სტატიები, სადაც ხაზგასმულია, რომ რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება ამერიკის დახმარების გარეშეცაა შესაძლებელი.

**"რეგიონში ამერიკული ჯარების განთავსებით, აშკარად იკვეთება სხვა სახელმწიფოებისთვის სტრატეგიული სივრცის შეზღუდვის განზრახვა. ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით აშშ მსოფლიოზე ბატონობას ცდილობს,"** - წერს ჩინეთის ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთი "ძენმინ ძიბაო".

თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ რეგიონში ამერიკელთა სამხედრო ყოფნა აუცილებელი არ არის. **"იმ ექსტრემისტთა ლოკალიზაციისა და გაუვნებელყოფის ამოცანების შესრულება, რომლებიც რეგიონში ავღანეთიდან შემოდიან, თავისუფლად შეუძლიათ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის შესაბამის სტრუქტურებსა და შანხაის ჯგუფს,"** - ამბობს რუსი დიპლომატი.

აშკარაა, აშშ-ს დიდი ხნით დასამკვიდრებლად რეგიონში სერიოზული წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ცენტრალურ აზიაში "დიდი თამაშის" ხანა ბრუნდება.

# ჩინეთის ბირთვული მუქარა

ტაივანის კონფლიქტში აშშ-ს სამხედრო ჩარევის შემთხვევაში, ჩინელები ბირთვული ომის დაწყებას არ გამორიცხავენ, - ასეთი მოსაზრება ჟურნალისტებთან საუბარში ერთ-ერთმა გავლენიანმა ჩინელმა სამხედრო პირმა ჩჟუ ჩენჰუმ გამოთქვა.

**"თუ აშშ ჩინეთის ტერიტორიაზე დარტყმას განახორციელებს, ვფიქრობ, რომ ჩინეთი მზად იქნება ბირთვული დარტყმით უპასუხოს,"** - განაცხადა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის თავდაცვის საკითხთა კვლევის ფაკულტეტის დეკანმა ჩჟუ ჩენჰუმ. მან იქვე განმარტა, რომ ჩინეთის ტერიტორიად იგი ქვეყნის სამხედრო (მცურავ და მფრინავ) ობიექტებსაც გულისხმობდა.

**"ჩვენ კარგად გვესმის, რომ საპასუხო დარტყმის შედეგად დაინგრევა სიანის (ჩინეთის ძველი დედაქალაქი) აღმოსავლეთით მდებარე ყველა ქალაქი. მაგრამ ამერიკელებიც მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ ჩინური იარაღის საშუალებით მათი ასი ან ორასი ქალაქი დაინგრევა,"** - შემზარავი სურათი დახატა ჩინელმა ექსპერტმა ჩინეთ-ტაივანის სამხედრო კონფლიქტში ამერიკელთა ჩარევის შემთხვევაში.

**"ვფიქრობ, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ერთ-ერთი ქვეყნის პოლიტიკოსები ჭკუაზე შეიშლებიან,"** - ამბობს ჩჟუ ჩენჰუ.

აღნიშნულმა განცხადებამ სერიოზული რეზონანსი გამოიწვია მთელ მსოფლიოში. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ პეკინს ოფიციალური უარყოფის გაკეთებაც მოუწია. **"მე არ ვიცი ზუსტად რა თქვა გენერალმა ჩენჰუმ, მე ეს ინფორმაცია მედიის საშუალებით შევიტყვე, მაგრამ ხაზს ვუსვამ, რომ ეს მხოლოდ გენერლის პირადი აზრი იყო და არ გამოხატავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოფიციალურ პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით"**, - განაცხადა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწემ შენ გოფანმა.

გარდა ამისა, დიპლომატმა ხაზი გაუსვა, რომ ჩინეთი, ისევე როგორც აშშ, სეპარატისტული ტაივანის კონტინენტთან მიერთების მშვიდობიან გეგმას ემხრობიან.

*24 საათი*



## ყურადღება!

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარების და რეფორმების ფონდი ანახლებს წარმატებულ პროექტს: -"სასწავლო და სამეცნიერო გრანტების პროგრამა ახალგაზრდა იურისტებისთვის".

ამა წლის 15 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა მიულოცა საკონკურსო წესით შერჩეულ 14 წარმატებულ კანდიდატს ევროპის და აშშ-ის საუკეთესო უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებზე სასწავლებლად სრული დაფინანსების მოპოვება.

პრეზიდენტის ინიციატივით, ვაცხადებთ კონკურსის მეორე რაუნდს იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთათვის. (კონკურსის მეორე რაუნდში ვერ მიიღებენ მონაწილეობას პირველ რაუნდში მონაწილე კანდიდატები).

განვითარებისა და რეფორმების ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა იურისტებს, რომლებიც 2005-2006 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროპის ან აშშ-ის უნივერსიტეტებში. დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდებზე:

www.drf.org.ge

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 20 ივლისი,.

შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე:

**განვითარებისა და რეფორმების ფონდი**
**ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო**
**ტელ.: 996723/995923/997582(ფაქსი)**
**ელ-ფოსტა: isulava@drf.org.ge**
**ირინა სულავა**
**სასწავლო პროგრამის კოორდინატორი**

## ადმინისტრატორი

კომპანია **BP Exploration Caspian Sea Ltd** კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პიროვნებას სუფსის ტერმინალზე ადმინისტრატორის თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**
ადმინისტრატორის ძირითადი მოვალეობებია:

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**
მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

■ პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს საკითხებზე
■- STOP პროგრამაში აქტიური მონაწილეობა
■ თარჯიმნის ფუნქციების შესრულება
■ ყიდვა/მომსახურების განაცხადების წარმოება MAXIMO-ს საშუალებით
■- სუფსის ტრეინინგების კოორდინაცია, მათ შორის მგზავრობისა და საცხოვრებლის მოთხოვნილებების კოორდინაცია
■ სუფსის თანამშრომლებთან დაკავშირებულ საკითხებზე BP-ის კადრებისა და ფინანსური კონტროლის განყოფილებებთან მოლაპარაკება
■ ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ექსპლუატაცია MAXIMO-ს საშუალებით
■ სუფსის ცენტრალური დოკუმენტაციის აღრიცხვის სისტემის კოორდინაცია
■ სუფსის ცენტრალური დოკუმენტაციის კონტროლის სისტემის კოორდინაცია
■ საწყობის ინვენტარიზაციის სისტემის კოორდინაცია
■ სატრანსპორტო საშუალებების ყოველდღიური შემოწმებების შეგროვება და განხილვა, დანაკლისის შემოწმება. დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში ტექნიკური მომსახურების მოთხოვნის შევსება და ჩაბარება. თუ რაიმე შემჩნეული დეფექტის გამო სახიფათოა სატრანსპორტო საშუალების გამოყენება, ამ სატრანსპორტო საშუალების ხმარებიდან დაუყოვნებლივ გამოყვანის უზრუნველყოფა.
■ შავი ყუთიდან მონაცემების ჩამოტვირთვა, ანგარიშების დაბეჭდვა და სუფსის მენეჯერისათვისა და GPC-ის სატრანსპორტო საშუალებების კოორდინატორისათვის გაგზავნა თბილისის ოფისში
■ ყველა ტრანსპორტის საშუალების მიერ დაფარული დისტანციის ჩანაწერების წარმოება და ანგარიშვალდებულება GPC-ის სატრანსპორტო საშუალებების კოორდინატორის წინაშე თბილისში
■ იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, როგორიცაა ტექნიკური პასპორტი, გამოყენებამდე სატრანსპორტო საშუალების ყოველდღიური შემოწმების საკონტროლო სია, არის ყველა სატრანსპორტო საშუალებაში.
■ სატრანსპორტო საშუალებებზე ჩატარებული ტექნიკური მომსახურების აღრიცხვის წარმოება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნისა და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

■ ოფისში მუშაობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება, საკუთარი სამუშაოს შესრულების მინიმალური ზედამხედველობით შესრულების უნარი, გუნდური მუშაობისას ეფექტური კომუნიკაციის უნარი
■ უმაღლესი განათლების დიპლომი, ენების გაძლიერებული კურსით;
■ ქართული ენის ფლობა მშობლიური ენის დონეზე, ინგლისურის და რუსულის - თავისუფლად;
■ შემდეგი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილად ფლობა: MS Word, Excel, PowerPoint, Exchange

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 19 ივლისი, სამშაბათი, 18:00.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

## საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს ღია ტენდერს მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვისათვის, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ოთხკარიანი,
შესაძლებელია წინა წამყვანი,
საწვავის ტიპი - ბენზინი,
ძრავის მოცულობა - 2000-220 სმ 3,
სიმძლავრე არანაკლებ 100 ცხენის ძალა,
სიჩქარე - არანაკლებ 200 კმ/სთ,
სიჩქარის გადამცემი კოლოფი - მექანიკური (5 წინა, 1 უკანა),
სრული ელექტროპაკეტი (ბორტკომპიუტერი, შუშის ავტომატური მართვა, აბს, აირბალიში, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა),
კონდენციონერი კლიმატ-კონტროლით,
რადიო-მაგნიტოფონი.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 1 აგვისტოს 11 საათიდან 3 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საფინანსო სამსახური.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

1. განცხადება ტენდერში მონაწილეობის თაობაზე, მონაწილის იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები;
2. ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
3. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
4. ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
5. ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ფიზიკური პირისათვის:

1. განცხადება ტენდერში მონაწილეობის თაობაზე, მონაწილის იურიდიული მისამართი ან საბანკო რეკვიზიტები;
2. ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
3. ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
4. ცნობები სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
5. ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2005 წლის 4 აგვისტოს 15 საათზე წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს შერჩევის შედეგი ეცნობებათ წერილობით.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად დამტკიცებულ პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს ეროვნული ბანკი, ა/ა 000141408, კოდი 220101107) შეეძლებათ არაუგვიანეს 2004 წლის 11 აგვისტოს 15 საათისა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საფინანსო სამსახური.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: შორენა მამუკაშვილი, მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7, ტელეფონი 93-85-45, 99-89-77.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე ცენტრალური უნივერმაღის ფასადზე განსათავსებელი მხატვრული პანოს დამზადებასა და განთავსებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

მხატვრული პანოს დამზადება ესკიზის შესაბამისად, პანოს მთლიანი მოცულობა - 1700 მ2, პანო უნდა დამზადდეს ერთიან განსათავსებელ ზედაპირზე, პანოს შემადგენლობა - ორგმინა, პლასტიკი, ელექტრო და ციფრული განათების შიდა და გარე სინთეზური გამოყენებით, პანოს განსათავსებელი კონსტრუქცია (უჟანგავი ლითონი, ალუმინი, ფოლადი).

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 30 სექტემბერი.

**3**. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 1 აგვისტოს 12 საათიდან 2 აგვისტოს 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 **იურიდიული პირისათვის:**

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

- ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

*5*. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 3 აგვისტოს 12 საათიდან 4 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიორგი დათუნაშვილი-სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-60-34 და ნუგზარ კალაძე-სატენდერო კომისის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# ინფორმაცია

## საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ 2005 წლის ივნის-ივლისის თვეებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შედეგად დადებული ხელშეკრულებების შესახებ

2005 წლის მიზნობრივი პროგრამის "მცენარეთა დაცვა" ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ ღონისძიებების გასატარებლად სალიკვიდაციო სარეზერვო ფონდის შესაქმნელად საჭირო პესტიციდების შეძენის მიზნით განხორციელებულ ღია ტენდერში გაიმარჯვეს და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები დაიდო შპს "გეოლინკსთან" ღირებულებით 17777,5 აშშ დოლარი და შპს "ნობლექსთან" ღირებულებით 114660 აშშ დოლარი.

2005 წლის მიზნობრივი პროგრამის "მცენარეთა დაცვა" ფარგლებში საშიშ საკარანტინო მავნებლებთან ციტრუსოვანთა ვერცხლისფერ ტკიპასთან და მენაღმე ჩრჩილთან ბრძოლის ღონისძიებების (შესხურება) შესყიდვის მიზნით განხორციელებულ დახურულ ტენდერში გაიმარჯვა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება დაიდო შპს "ქობულეთსოფლნაყოფიერებასთან" ღირებულებით 43550 ლარი.

ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული დმანისის რაიონის მოსახლეობის დახმარების მიზნით მოკლე ვეგეტაციური პერიოდის მქონე სიმინდის თესლის შესყიდვა განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება დაიდო შპს "მამული-96"-თან ღირებულებით 47250 ლარი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია (ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 29) აცხადებს ღია ტენდერს სახარჯი დამხმარე სამედიცინო მასალების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 1 აგვისტოდან 2 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 29, მე-2 სართული, ოთახი 208.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან).

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

4. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 2 აგვისტოს, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

7. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტებისათვის გაცემა მოხდება მას შემდეგ, რაც წარმოადგენენ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარს (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, მიმღები ორგანიზაცია: საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია 8055, მიმღების ანგარიში №000141408, მიმღები ბანკის კოდი 220101107. მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი 204900330).

8. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: დარეჯან ოსიყმაშვილი, აზა მოსიძე. მისამართზე: საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 29, მე-2 სართული, ოთახი 208; ტელ.: 223322; ფაქსი: 231170; E-mail: info@medacademy.edu.ge

*სატენდერო კომისია*

# დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს შემდეგი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების შესყიდვაზე:

სისხლში შაქრის განმსაზღვრელი აპარატები, აკუჩეკის ტიპის ან ექვივალენტური - 100 (ასი) ცალი;

სისხლში შაქრის განმსაზღვრელი აპარატების ტესტჩხირები, აკუჩეკის ტიპის ან ექვივალენტური - 7200 (შვიდი ათას ორასი) კოლოფი;

სისხლის ასაღები ხელსაწყო, სოფტკლიქსის ტიპის ან ექვივალენტური - 100 (ასი) ცალი;

სისხლის ასაღები ხელსაწყოს ნემსები, სოფტკლიქსის ტიპის ან ექვივალენტური - 50 (ორმოცდაათი) კოლოფი;

შარდში გლუკოზისა და კეტონური სხეულების განმსაზღვრელი ტესტჩხირები - 400 (ოთხასი) კოლოფი;

გლიკოზირებული ჰემოგლობინის საანალიზო რეაქტივი, ბიორადის ტიპის აპარატისათვის ან ექვივალენტური - 1000 (ერთი ათასი) ანალიზი.

დასაშვებია საქონლის მხოლოდ ნაწილის მიწოდებასთან დაკავშირებული წინადადების წარდგენა და შესაძლებელია ტენდერის შედეგად რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომელთაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ნაწილების შესრულების უფლება.

საქონელი უნდა იქნეს მიწოდებული - თბილისი, ქავთარაძის 27, ასოციაციის ოფისი - DDP პირობით, არაუგვიანეს 2005 წ. 1 ნოემბრისა.

პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემების მიღება იწყება 01.08.05-დან და შეწყდება 11.08.05 15 საათზე.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ან რუსულ ენებზე ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) უნდა წარმოადგინონ ასოციაციის ოფისში, მისამართზე: თბილისი, ქავთარაძის 27, სატენდერო კომისია.

საკვალიფიკაციო მონაცემები, თანახმად საქართველოს კანონისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (თავი 3, მუხლი 10, პ. 1) უნდა შეიცავდნენ შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე, არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

2. ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ საკვალიფიკაციო მონაცემების წარდზგენის მომენტისათვის პრეტენდენტი იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

3. ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან იმის შესახებ, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელი არ იყო მსჯავრდადებული ან საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

2. ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

პრეტენდენტებად არ დაიშვებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები:

არ შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან ყალბი აღმოჩნდება;

არაზუსტი ან არასრული აღმოჩნდება ან ამ მონაცემებში მექანიკური შეცდომაა დაშვებული და მათი წარმომდგენი პირი უარს აცხადებს დაშვებული შეცდომის (უზუსტობის) გასწორებაზე ან მონაცემების საჭირო ინფორმაციით შევსებაზე ან/და არ შეუძლია მისი გასწორება.

პირები ან ორგანიზაციები, რომლებიც გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, მიიღებენ სატენდერო დოკუმენტაციას ქართულ ენაზე სატენდერო მოსაკრებლის - 500 ლარის გადახდის შემდეგ ა.წ. 29.08.05-დან 08.09.05 14 საათამდე.

ტენდერში მონაწილეთა სატენდერო წინადადებები გაიხსნება ა.წ. 08 სექტემბერს 15 საათზე ასოციაციის ოფისში: თბილისი, ქავთარაძის 27. გამარჯვებული გამოცხადდება ა.წ. 9 სექტემბერს 12 საათზე იმავე ოფისში.

ყველა სახის დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ასოციაციის ოფისს: თბილისი 0186, ქავთარაძის 27, ტელ. 29 49 56, ელ.ფოსტა vardosan@hotmail.com, თემურ ვარდოსანიძე.

*სატენდერო კომისია*

# კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

## შესყიდვის ობიექტი ავეჯი

## დაფინანსების წყარო - საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ " ქართუ"-ს მიერ გამოყოფილი გრანტი

| N | შესყიდვის ობიექტი | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | კუთხის სამეული ორი მაგიდით | 1 კომპლექტი |
| 2 | სამეული | 30 კომპლექტი |
| 3 | სავარძელი | 56 ცალი |
| 4 | სკამი | 108 ცალი |
| 5 | მაგიდა | 16 ცალი |
| 6 | კარადა | 5 ცალი |

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან)

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკურ პირთათვის:**

უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკიურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2005 წლის 1 აგვისტოდან 2005 წლის 6 აგვისტოს 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**0102, საქართველო, თბილისი, მარჯანიშვილის N8**

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

**სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო აპარატი, მე-2 სართული,**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2005 წლის 7 აგვისტოს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულემა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500** ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 10 აგვისტოდან 2005 წლის 12 აგვისტოს 16 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: 0102, საქართველო, თბილისი, მარჯანიშვილის N8, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი,. სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო აპარატი, მე-2 სართული,

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონებზე;

**95-43-07, 95-35-82**

*სატენდერო კომისია*

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური" ( ქ.ფოთი 4401, დ.აღმაშენებლის ქ.N52 ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: "გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს ფოთის N23 ფილიალი, ა/ა N623607, ბ/კ N220101606 "თიბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101934) აცხადებს ღია კონკურსს ახალი ტრანსფორმატორების შეძენაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.1 მოსაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

1. ტრანსფორმატორი თM- 630-6/0-4 - 3 ცალი (ახალი);

1.2 საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: 2005 წლის 01 აგვისტოდან 2006 წლის 01 იანვრამდე

2. მოსაწოდებელი საქონლის სავალდებულო ადგილი - საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურში".

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია, 2005 წლის 25 ივლისის 11 საათამდე.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

4.1 იურდიული პირებისათვის;

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

გ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

4.3 იურდიული და ფიზიკური პირებისათვის

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირები ტელეფონი-ფაქსი).

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან - გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის წარმოშობის (თურქეთული წარმოების პროდუქცია არ განიხილება), ხარისხის და შესაბამისობის სერთიფიკატი.

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს, 500(ხუთასი) ლარის ოდენობით საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.N52, შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48. 2005 წლის 27 ივლისის 10 საათიდან 29 ივლისის 17 საათამდე

საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ენაზე (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი).

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2005 წლის 09 აგვისტოს 1700 საათი, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს კანცელარია ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52.

8. კონკურსში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

9. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

10. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

11. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

12 ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48;

10. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

11 ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48;

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური" ( ქ.ფოთი 4401, დ.აღმაშენებლის ქ.N52 ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: "გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს ფოთის N23 ფილიალი, ა/ა N623607, ბ/კ N220101606 "თი-ბისი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101934) აცხადებს ღია კონკურსს ახალი ელ.კაბელების, სადენების და "რეიჰელის" ქუროების შეძენაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.1 მოსაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

1. სადენი (ალუმინის) AIA 1X16 - 2000 გრძ.მეტრი;
2. კაბელი დაბალი ძაბვის (ალუმინის) AAAA-0,6-1,0 3X35+1X16 - 1000 გრძ.მეტრი;
3. კაბელი დაბალი ძაბვის (ალუმინის) AAAA-1 3X120+1X70(95) - 4000 გრძ.მეტრი;
4. კაბელი დაბალი ძაბვის (სპილენძის)AAAA-1 3X120+1X35(70) - 1000 გრძ.მეტრი;
5. კაბელი მაღალი ძაბვის (ალუმინის) AჩA-10 3X120 - 3000 გრძ.მეტრი;
6. კაბელი რბილი KA 1X25 - 500 გრძ.მეტრი;
7. კაბელი რბილი KA 1X35 - 500 გრძ.მეტრი;
8. სადენი (სპილენძის) IIA 2X4 - 2000 გრძ.მეტრი;
9. სადენი (სპილენძის) AAA-1 4X6 - 1000 გრძ.მეტრი;
10. სადენი (სპილენძის) IA-3 1X10 - 1500 გრძ.მეტრი;
11. რეიჰელის ქურო (120-150) - 40 ცალი.

1.2 საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: 2005 წლის 20 აგვისტოდან 2006 წლის 01 იანვრამდე

2. მოსაწოდებელი საქონლის სავალდებულო ადგილი - საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურში".

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია, 2005 წლის 25 ივლისი 11 საათამდე.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

4.1 იურდიული პირებისათვის;

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

გ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

4.3 იურდიული და ფიზიკური პირებისათვის

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი. (მიუთითეთ საკონტაქტო პირები ტელეფონი-ფაქსი).

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან - გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის წარმოშობის (თურქეთული წარმოების პროდუქცია არ განიხილება), ხარისხის და შესაბამისობის სერთიფიკატი.

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს, 500(ხუთასი) ლარის ოდენობით საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.N52, შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48. 2005 წლის 27 ივლისის 10 საათიდან 29 ივლისის 17 საათამდე

საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ენაზე (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი).

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2005 წლის 09 აგვისტოს 1700 საათი, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს კანცელარია ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52.

8. კონკურსში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

9. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

10. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

11. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

12 ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48;

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური" ( ქ.ფოთი 4401, დ.აღმაშენებლის ქ.N52 ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: გაერთიანებული ქართული ბანკის ფოთის N23 ფილიალი, ა/ა N623607, ბ/კ N220101606; "თი-ბისი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101934) აცხადებს ღია კონკურსს საზღვაო ბუქსირების დამხმარე ძრავების შეძენაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.1 მოსაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

1. საზღვაო ბუქსირის დამხმარე ძრავი 3D-6 ან 3D-7 (ახალი, ქარხნული) - 2 ცალი;

1.2 საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: 2005 წლის 01 ოქტომბრამდე.

2. მოსაწოდებელი საქონლის სავალდებულო ადგილი - საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ცენტრალურ საწყობში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია, 2005 წლის 25 ივლისის 1100 საათამდე.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

4.1 იურდიული პირებისათვის;

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

გ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

4.3 იურდიული და ფიზიკური პირებისათვის

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირები ტელეფონი-ფაქსი).

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან - გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლების ნუსხა ან პასპორტი

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს, 500(ხუთასი) ლარის ოდენობით საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.N52, შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48. 2005 წლის 27 ივლისის 10 საათიდან 29 ივლისის17 საათამდე

საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ენაზე (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი).

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2005 წლის 09 აგვისტოს 1700 საათი, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს კანცელარია ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52.

8. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

9. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ღია ტენდერს ხონი-მათხოჯი-მარტვილის საავტომობილო გზის კმ.6-კმ.10 მონაკვეთის (ლოტი-2) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 1 აგვისტოს 1000 საათიდან 2005 წლის 2 აგვისტოს 1200 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოგრეიდერი საშუალო | 2 |
| 2 | ავტოგუდრონატორი 7000 ლ | 1 |
| 3 | ამწე ტვირთამწეობით 5 ტ | 1 |
| 4 | ავტობეტონსარევი | 1 |
| 5 | ელექტროვიბრატორი | 1 |
| 6 | კომპრესორი მოძრავი | 1 |
| 7 | სამტვრევი ჩაქუჩები | 2 |
| 8 | საგზაო ფრეზი | 1 |
| 9 | ასფალტდამგები | 1 |
| 10 | პნევმატური სატკეპნი 16-20 ტ | 1 |
| 11 | სატკეპნი გლუვვალციანი 11-18 ტ | 1 |
| 12 | ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.4 მ³ | 1 |
| 13 | საბურ-ამწე მანქანა | 1 |
| 14 | ნიშანსადები მანქანა | 1 |
| 15 | სარწყავ-სარეცხი მანქანა | 1 |
| 16 | ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ | 10 |
| 17 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 10 ტ | 1 |
| 18 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ | 1 |

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

-- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

-- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

-- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 8 აგვისტოს 1000 საათიდან 2005 წლის 9 აგვისტოს 1700 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.63.95 გია დიასამიძე.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ღია ტენდერს ციხისძირი-ახალგორის საავტომობილო გზის კმ.9-კმ.16 მონაკვეთის (ლოტი-2) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 1 აგვისტოს 1000 საათიდან 2005 წლის 2 აგვისტოს 1200 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოგრეიდერი საშუალო | 2 |
| 2 | ამწე ტვირთამწეობით 10 ტ | 1 |
| 3 | ავტობეტონსარევი | 1 |
| 4 | ელექტროვიბრატორი | 1 |
| 5 | კომპრესორი მოძრავი | 1 |
| 6 | სამტვრევი ჩაქუჩები | 2 |
| 7 | საგზაო ფრეზი | 1 |
| 8 | ასფალტდამგები | 1 |
| 9 | პნევმატური სატკეპნი 16-20 ტ | 1 |
| 10 | სატკეპნი გლუვვალციანი 11-18 ტ | 1 |
| 11 | ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.4 მ³ | 1 |
| 12 | საბურ-ამწე მანქანა | 1 |
| 13 | ნიშანსადები მანქანა | 1 |
| 14 | სარწყავ-სარეცხი მანქანა | 1 |
| 15 | ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ | 8 |
| 16 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 10 ტ | 1 |
| 17 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ | 1 |

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

-- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

-- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

-- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 8 აგვისტოს 1000 საათიდან 2005 წლის 9 აგვისტოს 1700 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.63.95 გია დიასამიძე.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ღია ტენდერს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.326 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 1 აგვისტოს 1000 საათიდან 2005 წლის 2 აგვისტოს 1200 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოგრეიდერი საშუალო | 2 |
| 2 | ამწე ტვირთამწეობით 5 ტ | 1 |
| 3 | ავტობეტონსარევი | 1 |
| 4 | კომპრესორი მოძრავი | 1 |
| 5 | სამტვრევი ჩაქუჩები | 2 |
| 6 | საგზაო ფრეზი | 1 |
| 7 | ასფალტდამგები | 1 |
| 8 | პნევმატური სატკეპნი 16-20 ტ | 1 |
| 9 | სატკეპნი გლუვვალციანი 11-18 ტ | 1 |
| 10 | სატკეპნი ვიბრაციული 4 ტ | 1 |
| 11 | ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.4 მ³ | 1 |
| 12 | საბურღ-ამწე მანქანა | 1 |
| 13 | ნიშანსადები მანქანა | 1 |
| 14 | სარწყავ-სარეცხი მანქანა | 1 |
| 15 | ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 10 ტ | 6 |
| 16 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ | 1 |

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

-- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

-- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

-- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 8 აგვისტოს 1000 საათიდან 2005 წლის 9 აგვისტოს 1700 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.63.95 გია დიასამიძე.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ღია ტენდერს ვანი-სულორის საავტომობილო გზის კმ.1 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 1 აგვისტოს 1000 საათიდან 2005 წლის 2 აგვისტოს 1200 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოგრეიდერი საშუალო | 2 |
| 2 | ავტოგუდრონატორი | 1 |
| 3 | ამწე ტვირთამწეობით 5 ტ 7000 ლ | 1 |
| 4 | ავტობეტონსარევი | 1 |
| 5 | ელექტროვიბრატორი | 1 |
| 6 | კომპრესორი მოძრავი | 1 |
| 7 | სამტვრევი ჩაქუჩები | 2 |
| 8 | საგზაო ფრეზი | 1 |
| 9 | ასფალტდამგები | 1 |
| 10 | პნევმატური სატკეპნი 16-20 ტ | 1 |
| 11 | სატკეპნი გლუვვალციანი 11-18 ტ | 1 |
| 12 | ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.4 მ³ | 1 |
| 13 | საბურღ-ამწე მანქანა | 1 |
| 14 | ნიშანსადები მანქანა | 1 |
| 15 | სარწყავ-სარეცხი მანქანა | 1 |
| 16 | ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ | 10 |
| 17 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 10 ტ | 1 |
| 18 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ | 1 |

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

-- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

-- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

-- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 8 აგვისტოს 1000 საათიდან 2005 წლის 9 აგვისტოს 1700 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.63.95 გია დიასამიძე.

*სატენდერო კომისია*

ძველი, ახალი ფიგურა - გრიგოლ ცაავა



B3

დელ ორნოს მიზანი



B3

ოპერა ვოტერსისგან



B4

ნოველა

# ნაკოლკა

*მოირები, ბედისწერის ქალღმერთები, არც ერთ იერარქიაში არ მონაწილეობენ, ცალკე არიან. მოირა, კარმენივით ლამაზი და დაუნდობელი, მისი უდიდებულესობა უჩინო სიკვდილი, გამოწვევას ელის, როგორც ფლამინგოს ან სიმდის დუეტის პარტნიორი. თბილისის სასაფლაოებზე უამრავი ჩემი ამხანაგი წევს, ვინც თავი გასწირა, ბედისწერა გამოიწვია და თვალებში ჩახედა, თვალისმომჭრელ ფატალურ დედოფალს შეიძლება აკოცა კიდევაც. სვანეთში დალს უწოდებენ, სხვაგან სხვანაირად და თუ ეს გაცნობიერებული მსხვერპლშეწირვა დიადი ღირებულებისათვის აღსრულდება, დაფდაფის დრობის ფონზე, ამ ინიციაციის სასჯელი მარადიული უკვდავებაა. ისე ეს მოირა თუ დალი, პუტანკასავითაა, თუ გამოიხმობ, ნებისმიერს მიჰყვება, თუ არადა, ცოცხალი მძორი იქნები. ამ კონფორმიზმისთვის ნიჭს არ აღირსებს უზენაესი. დროებითი სახელისთვის ტრაკს მისცემს, გაჭრის კიდეც აღრეულ ფასეულობათა საზოგადოებაში, მაგრამ ლეშის სუნის გარდა მისგან არაფერი დარჩება შთამომავლობას - არც წიგნი, არც ამბავი.*

მამუკა ხერხეულიძე

ჟანი მირეკავდა მობილურით - ოზურგეთში მივდივარ და ერთი რაღაც უნდა მოგიყვე, ჩემს მეგობარს შეემთხვა ამერიკაში, შენ მაგრად იკაიფებო. აჟიტირებული ჩქარ-ჩქარა, ტეხილი ფრაზებით ლაპარაკობდა, როგორც ჩვეოდა - იქნებ გამოგადგეს, რამეს დაწეროო. ბედისწერასთან თამაში თვითონაც უყვარდა. მთავარია, ყოფილიყო იდეა, რომლისაც სწამდა და რომლისთვისაც მოირების გამოძახებაც მოსულა,- რატომაც არა - ამბობდა ხშირად.

## მექსიკელის ამბავი

ლევანი ჟანიზე პატარა იყო, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე სასამართლო ექსპერტიზის უფროსად დაინიშნა თბილისში. როცა ამ დარგის სპეციალისტების კონფერენციას ესწრებოდა ნიუ იორკში, კრიმინალისტური ლაბორატორიების დათვალიერების შემდეგ სტუმრები მორგში მიუყვანიათ. იქ ასეთი წესი ყოფილა: გარდაცვლილებს ფეხზე პატარა ფირნიშს უკეთებენ, რომელსაც რამდენიმე წერტილებიანი ასო აწერია, აბრევიატურა: შემოსულია უკვე გარდაცვლილი - დ.ო.ლ. თუ რაღაც ამდაგვარი, შევთანხმდით, ქართულად ასე იქნებოდა: დ.ა.ნ., ესე იგი დედა აქვს ნატირები. ადვილად წარმოსადგენია, დღეში რამდენი ადამიანი მიჰყავთ მსოფლიოს არაოფიციალური დედაქალაქის, სამოქალაქო დაწესებულებათა ყველაზე ბოლო, ქლოროფორმის სუნით გაჟღენთილ ინსტანციაში.

ქართული დელეგაციის იქ ყოფნისას ერთი მეტისი მექსიკელი მიუყვანიათ, უფრო სწორად, მიუტანიათ. როდესაც რეზინის ჭრაჭუნახელთათმანიანმა შავკანიანმა ექთანმა ფირნიში გაამზადა და მიცვალებულს წინდა გახადა, გაოცებულმა იქ მყოფებს უხმო. მექსიკელს ორივე ფეხზე ნაკოლკა ჰქონდა გაკეთებული, აბრევიატურა - დ.ა.ნ. რა მასტის კაცი იქნებოდა ის საწყალი, წინდახედული ცინიკოსი თვითმკვლელი, ყოველდღე წამლით გაპარვის მომლოდინე მკეთებელი, ამაოების მჭვრეტელი დერვიში ან უბრალოდ მექსიკიდან შურისძიებას გამოქცეული შტატებს შეფარებული განგსტერი თუ - უამრავი ვერსიის მოფიქრება შეიძლება.

## ჟანის ამბავი

ძილი როგორი გაქვს-მეთქი. საერთოდ არ მძინავსო, ჩაცმული დავდივარ ოთახში, ლოგინამდე ვერც ვაღწევო. თუ დავწექი და თვალები დავხუჭე, ვიღაც გარდაცვლილებს ვნახულობ, თავზე მადგებიან, რა დროს ძილია, ფეხზე ადექიო.

ერთი კვირაც არ იყო გასული და გურიიდან თბილისში მომავალი ოცდაშვიდი წლის ჟანი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მისი გარდაცვალების შემდეგ გაირკვა, რომ უპატრონო ბავშვთა სახლს პატრონობდა, რამდენიმე ბავშვი მოუნათლავს კიდეც. თვითონაც სელფმეიდი იყო, ორთაჭალის არკიანი კორპუსის, პატარა ახალმოშენებულ მერცხლის ბუდესავით ლოჯიან ოროთახიანში ცხოვრობდა ხელმოკლე ოჯახში, დასთან და აფთიაქის პროვიზორ დედასთან ერთად. დედას სამსახურიდან თეთრი ხალათით წამლების მძაფრი სუნი მოჰქონდა და ალბათ იქ, ბოლოს, ხაშურთან, გამოქანებულ ხესთან, მრავალგზის დუელში გამოწვეულმა ბედისწერამ ამ სურნელით გაახსენა თავი. იმ ოროთახიანი, დაბალჭერიანი, პატარა ლოჯიანი ბინიდან გადავასვენეთ ეკლესიაში, ღამის თორმეტ საათზე. ჟანის ნომერი ტელეფონში არ წამიშლია, წავაწყდები ხოლმე, უცნაური გრძნობაა: ნაღდად ვიცი, ერთხელაც დავურეკავ და ვეტყვი: აფხაზეთი დავიბრუნეთ, გილოცავ, სხვებსაც მიულოცე!



შეიძლება მანამდე მეც გადავიდე გაღმა ნაპირზე და ჩემს ნომერსაც არ წაშლიან...

საბურთალოს სასაფლაოს თეთრ ტაძარში მოციქულების ფიგურებიანი შესასვლელი და აღსავლის ხის კარები ჩემი ძმაკაცის, ბატკა ნავერიანის ნახელავია, მასზე მოთხრობაც მაქვს, კავკასიური ქრონიკა, რომელიც ჟანის ყველაზე მეტად მოსწონდა. სტალინ პეტრე, არა? - მკითხავდა ღიმილით.

## ლევანის ამბავი

არ გასულა რამდენიმე დღე და ნიუ იორკიდან ახლად დაბრუნებული საკაიფო სიუჟეტის თვითმხილველი, მეგობრის დედის დასაფლავებაზე ჩასული ლევანი კახეთში, თავის სოფელში, ტეტე-თი დაცხრილა ბავშვობის ამხანაგმა. როდესაც მისკენ გამოქანებული იარაღიანი დაინახა, გასროლამდე ანუ ჭექაქუხილივით ხმის გაგონებამდე მთელმა განვლილმა ცხოვრებამ გაუელვა გონებაში. შემდეგ კი საშინელი ტკივილი იგრძნო, თითქოს ცხელი შანთი უწვავდა შიგნეულს. დაჭრილი, ნატყვიარებზე ხელმიჭერილი - თითქოს მუცელში გაღვივებულ ხანძარს აქრობდაო, წელში მოხრილი მირბოდა ორღობეში, მკვლელი სამ-ოთხ ნაბიჯში მოსდევდა და ხვრეტდა. 7-62 კალიბრის წვრილი ტყვია სხეულში არ ჩერდება, გადის და ლევანი არ ეცემა, ისევ გარბის. ორგანოები დაფლეთილი აქვს, იარები - სასიკვდილო, მაგრამ იქნებ გაექცეს. ადრე ყველაფერში ასწრებდა, ზუსტად აქაც გაჯიბრებიან ერთმანეთს. ისევ ისეთი გამხდარია, სწრაფი, თუმცა ტეტე-ს ტყვიას რას გაასწრებ და უკვე სუნთქვა ეკვრება, სხეულიდან ჰაერი ქრება, თუ სული... რაღაც დაირღვა, ვერც იხსენებს, წარსულია ეს ყველაფერი თუ აწმყო, იქნებ სიზმარია... ბოლო, მერვე ასცდა და როგორც დათვალა, მჭიდი დაცლილი უნდა ყოფილიყო - ტეტე-ში რვა ჩადის, მაგრამ მეცხრეც გავარდა, ერთი ტყვია ლულაშიც ჰქონია, გამაყრუებელ ხმამდე ხერხემალმა გაიხრჭიალა, ცეცხლოვანმა დენმა მთელი სხეული დააზანზარა და ბიჭი დაეცა. მსროლელი თავზე დაადგა ქოშინით. მოღრეცილი ფეხსაცმელი ეცვა ისევ, თასმებიც მოშვებული ჰქონდა უშნოდ, როგორც ადრე. ფეხზე შემდგარ იარაღში აბოიმა გამოცვალა. მომაკვდავმა ამოხედა, თავს ძალა დაატანა და გაუღიმა, ადრეც ასე აგიჟებდა. ძველი ჩხუბი მოაგონდა ამ წუთში სულთამხუთავად ქცეულ კლასელთან და რაღაც ინანა, რასაც აღარაფერი ეშველებოდა. იმან თვალებში ჩახედა, ცერა თითით ჩამკეტი გახსნა, რკინების ჭახანი და უკვე სუნთქვაგაჩერებულმა თვალი მოჰკრა, ოქროსფერი ტყვია ლულაში როგორ შესრიალდა. ლოყა ხაოიან მიწაზე ფრთხილად დაასვენა, მიწა ცხელი იყო, პირიდან სისხლი მოჟონავდა, მზერა გადიდებულ ასფალტის დამტვრეულ გზას, კენჭებს და სიგარეტის ნამწვავებს ააშორა. ღობის იქით მზიანი გაზაფხულის დღე იდგა, მზესუმზირები და ტყემლები აყვავებულიყო, შორს კი, ჰორიზონტზე ჩამწკრივებული ვენახების თავზე ლურჯი მწვერვალებიც ამ კვირტებივით გადაეთეთრებინა თოვლს. ამის მერე აღარაფერი უგრძვნია. მხოლოდ ბავშვობის დროინდელი, ავდარში გაგონილი ჭექაქუხილი ჩაესმოდა, შიშის მომგვრელი ექოებით. წვიმის დროს, დაბინდებულზე, ლამფით განათებულ ოთახში შუშაზე შუბლმიბჯენილი ბიჭი დაინახა, ელვით განათებული კავკასიონის მთები და ნოტიო ფანჯრის რაფის სუნიც გაახსენდა წამით, მერე კი ჩაქრა... ბედისწერა - წითელ პერანგიანი თანაკლასელი პისტოლეტს ორი ხელით ბღუჯავდა, თან ეზოდან გამოფენილი დაზაფრული ხალხისკენ ტრიალდებოდა და ყველა გასროლის შემდეგ ისე ყვიროდა, თითქოს მას ხვდებოდა, ან შეიძლება ახმოვანებდა, როგორც ადრე, ომობანას დროს. ბოლოს საკონტროლო გასროლები დაახალა კეფაში, ლევანი ვერაფერს ველარ გრძნობდა, მხოლოდ შუბლი ასკდებოდა ასფალტს. მომაკვდავს სული ტოვებდა. დაღრეცილფეხსაცმლიანმა მკვლელმა არაადამიანური ხმით იღრიალა და ტეტე-ს ცხელ ლულას აკოცა. ღობესთან გვერდულად, ემბრიონის პოზაში მიწოლილ, სისხლში მოთხვრილ სხეულს დააკვირდა და ველარ გაიხსენა, რას ერჩოდა ამ ბეღურასავით მოკლულ ბიჭს, სახელიც დავიწყებოდა. ვერანაირ შვებას ვერ გრძნობდა, პირიქით...

სახლში მივიდა, მეორე სართულზე ავიდა, საბჭოთა ვარსკვლავიან სასროლს და წინა დღეს რკინის ხერხით გადაჭრილ სანადირო თოფს ტარებზე შავი იზოლენტები დაახვია, ჯერ კიდევ თბილი პისტოლეტის ლულა საფეთქელზე მიიბჯინა, თოფი გულთან მიიდო და ერთდროულად გამოჰკრა. ცისფრად შეღებილი ცარიელი ოთახის კედელს სისხლი მიეშხეფა, თეთრ ჭერს და ჩეხურ სასანთლეებიან ჭაღს - სისხლში აზელილი ტვინის ნაფლეთები. მოწმეები ამბობდნენ, მკვლელი შეპყრობილივით ღრიალებდა, შენ ხომ ყველაფერს მიაღწიეო...

■ ■ ■

ახლა ვზივარ, ვწერ, შუაღამეა. ოცდაშვიდი წლის ჟანი ცოცხალი აღარ არის, არც მისი მეგობარი ლევანი. ეს ყველაფერი ერთ თვეში მოხდა. ჟანი იმ დღეს თავისივე დასაფლავებაზე დავინახე. ადრეც ბევრჯერ მომსვლია - გარდაცვლილი მეგობრები დამინახავს საბედისწერო სიტუაციებში, ასეთები კი - იცოცხლე...

დაბოლოს: პადჟიგატელი ჰეროსტრატე მიმიქარავს. ერთ კაცს ვიცნობ, საკუთარი პერსონა ორჯერ გაიტაცა. ჯერ ვაშინგტონში, სტუმრად ჩასულ უბედურ გიო მგელაძეს ფ.ბ.ა.ი.-სთან ერთად ორი დღე აძებნინა თავი და ბოლოს ეს თავი მისი აღმომჩენი სპეცსამსხურების თვალწინ ხანდაზმული ქალბატონის საშოდან გამოყო. მეორედ თბილისში დედას დაურეკა, პანკისი ახსენა და ტელეფონი გათიშა. ზარდაცემულ დედასთან ერთად მთელი ღამე ნერვიულობდა ყველა თანამედროვე ქართველი პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარიჟრაჟზე იმ დროისთვის ცნობილმა პოლიციელმა, ენერგეტიკოსმა და ინკვიზიტორმა "მერმედ" კეკუამ კვლავ ხანშიშესული ქალბატონის საშოდან ამოიყვანა გინეკოლოგიური მაშებით. მიუხედავად ამისა, დროებითი სახელისათვის მართლა ყველაფერს იკადრებს, ოღონდ მოირების და დალების გარეშე, ამიტომაც საავადმყოფო, სუდნო, წვეთოვანი ან ინსულინის შპრიცი და ხელმოცარული გრაფომანის ბედი გარანტირებული აქვს.

ესეც ამბავია, მაგრამ მე სხვა ხალხზე ვყვები. ქართული ანდაზა არსებობს ასეთი, სად მიგიყვანს ფეხი შენი, იქ ყოფილა ბედი შენიო. ასე რომ, ბედი ხშირად შენს ფეხებზეა დამოკიდებული, ან დაკიდებული...

# საზოგადოებრივი მაუწყებლობა საზოგადოების სამსახურში

*საზოგადოებრივი მაუწყებლობის ახალი დირექტორის თანამდებობაზე თავისი კანდიდატურა საჯაროდ პირველმა ლაშა ბაქრაძემ წარადგინა. გასულ კვირას რუსთაველის გამზირზე მხატვრებისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მიერ მის მხარდასაჭერად აქციაც გაიმართა, რის შესახებაც ჩვენი გაზეთი იუწყებოდა. თუმცა, ჩნდება კითხვა:*

**- რამ განაპირობა ის, რომ ისტორიკოსი, პოლიტოლოგი, გერმანისტი და მსახიობი ლაშა ბაქრაძე საჯარო მოხელის სტატუსისთვის იღწვის, თან ასეთი უჩვეულო - საჯარო ფორმით?**

- ვფიქრობ, რომ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ალტერნატიულ კანდიდატებს შორის ამორჩევის შანსი. ამ კონკურსში მონაწილეობის სურვილი მე ადრე გამოვაცხადე, რადგან მინდოდა, რომ საზოგადოებაში ღია დისკუსია გამართულიყო საზოგადოებრივი მაუწყებლობის გენერალური დირექტორის ვინაობაზე და საზოგადოებრივი მაუწყებლობის მომავალზე. ჩემი დიდი სურვილია, რომ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები ფართე მსჯელობის საგანი გახდეს და არა კულუარული მუშაობისა. ეს სამეურვეო საბჭოსაც დაეხმარება საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაში და ზურგს გაუმაგრებს მას.

სამწუხაროდ, საზოგადოება ძალიან ინერტულია და ხშირად პესიმისტურადაცაა განწყობილი. ის მხოლოდ მაშინ რეაგირებს, როცა ურემი გადატრიალდება.

**- მაშასადამე, მომავლის ტელევიზია და რადიო საყოველთაო დებატების არენად გესახებათ?**

- ჩვენმა მედიამ ადამიანები პოლიტიკურ კინკლაობებს მიაჩვია. ვფიქრობ, რომ საზოგადოებრივი არხი საზოგადოების გრძელვადიან ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და არა წუთიერი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. საზოგადოებრივი მაუწყებლობა მოაზროვნე მოქალაქის ჩამოყალიბებას უნდა უწყობდეს ხელს, რომელიც არა მარტო კრიტიკული იქნება, არამედ საზოგადოების წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობით აღვსილიც. არა ერთეული პოლიტიკური მოღვაწე უნდა შეიცვალოს, არამედ თვითონ საზოგადოება უნდა გარდაიქმნას.

**- თუკი ასეთ გამჭვირვალობაზე მიდგა საქმე: რამდენად კომპეტენტურად მიგაჩნიათ საკუთარი თავი? თვლით, რომ სამეურვეო საბჭოს მიერ კანდიდატთათვის წაყენებულ ყველა მოთხოვნას ასრულებთ?**

- აქ არსებობს როგორც სასურველი, ასევე აუცილებელი მოთხოვნები. ვფიქრობ, რომ ყველას ვაკმაყოფილებ. ბოლო დროს რამდენჯერმე მკითხეს, სამენეჯერო გამოცდილება თუ გაქვსო. ექვსი წლის განმავლობაში ვეწეოდი გოეთეს ინსტიტუტის კულტურულ და სამეცნიერო პროგრამათა მენეჯმენტს. ეს პროგრამები ჩვენებური არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსად ცალმხრივად მიმართული კი არა, უაღრესად მრავალფეროვანი იყო: საუნივერსიტეტო რეფორმა, გარემოსდაცვითი აზროვნების განვითარება, საინფორმაციო გადაცემათა ჟურნალისტების გადამზადება... სწორედ ასეთი მრავალფეროვანი უნდა იყოს ის თემებიც, რომელთაც მომავალი საზოგადოებრივი ტელევიზია უნდა აშუქებდეს. მაგრამ სხვა კანდიდატთა მხარდასაჭერად იმასაც დავურთავდი, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლობის, როგორც, პირველ რიგში, კულტურული ორგანიზაციის ხელმძღვანელი არა მენეჯერი, არამედ სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყო. ისევე, როგორც თეატრს ფინანსური დირექტორი კი არა, სამხატვრო ხელმძღვანელი უძღვება.

**- დღეს საბოლოოდ გამოცხადდება კანდიდატების რაოდენობა და ვინაობა. ვგონებ, კონკურენცია საკმაოდ დიდი იქნება. რა დამოკიდებულება გაქვთ ამის მიმართ?**

- საზოგადოებისთვის უკეთესია, ბევრი კანდიდატი იყოს და არა ერთი. მაო ძედუნმაც კი გაიზიარა ჩინური სიბრძნე: "დაე, ასმა ყვავილმა გაიხაროს, დაე, ასი სკოლა შეეჯიბროს ერთმანეთს".

***ესაუბრა სოფიო კირვალიძე***



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ლაშა ბაქრაძე



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# მავნე ჩვევა სუბიექტური მინარევებით



ამ კვირის მთავარ მოვლენას, გიგი უგულავას თბილისის ახალ მერად დანიშვნას, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ყველა ტელეარხის საინფორმაციო გადაცემები, მათი წამყვანები მთელი დღის განმავლობაში საკმაოდ უცნაური ინტონაციითა და აქცენტებით, სრულიად უადგილო და ალოგიკური ტერმინოლოგიით აშუქებდნენ უგულავას პირველ სამუშაო დღეს მერის ამპლუაში. ქართული პოლიტიკური ელიტის თითქმის ყველა წარმომადგენელი თავისებურ, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ კომენტარებს აკეთებდნენ. ახალი და ყოფილი მერების პიროვნული თვისებების, პოლიტიკური სიმტკიცის, სიმაღლის, წონის, ზოგადად გარეგნობის, ჰობის, სამომავლო გეგმების, კაბინეტების, საყვარელი და არასაყვარელი ნივთების, ძვირფასი საჩუქრების შედარებას ფაქტობრივად მთელი დღე დაეთმო, მაგრამ მიღებული ინფორმაციის სიუხვის მიუხედავად, ამის გარჩევას ახლა არ ვაპირებ. ამ კონკრეტული წერილით მხოლოდ იმ უნებლიე აზრის გადმოცემა, გაზიარება მინდა, რომელიც ყველაფერ ზემოთ ჩამოთვლილის შემხედვარეს გამიჩნდა. უფრო სწორედ, ეს აზრი ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში მიყალიბდებოდა და უცნაურად, მოულოდნელად, სწორედ მერის დანიშვნა და ამასთან დაკავშირებული კომენტარები ის ბოლო წვეთი აღმოჩნდა, რომელმაც ჩემს მოკრძალებულ მოსაზრებას საბოლოო სახე მისცა. ჩემი აზრი კი იმაში მდგომარეობს, რომ იქნება ეს ოსეთის, აფხაზეთის, კორუფციის, ლიცეუმის, ჯარის, სახლების ღებვის, უნივერსიტეტის თუ ნებისმიერი სხვა საკითხი, ყველგან ერთი და იგივე პრობლემა იხატება. პრობლემა, რომელსაც სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი ჰქვია. ნებისმიერი სამსახურიდან გათავისუფლებული, უკმაყოფილო, ოპოზიციონერი დეპუტატი თუ ბაზრობის გარემოვაჭრე, ხელოვანი თუ მეცნიერი, მწერალი თუ სამარშრუტო ტაქსის მძღოლი სახელმწიფოებრივი ხედვისგან რადიკალურად განსხვავებულ ზესუბიექტურ პოზიციაზე დგას და გარესამყაროს, მიმდინარე მოვლენებს, ცვლილებებს, წარმატებებსა და შეცდომებს თითქოს საკუთარი პაწაწინა სარკმლიდან აფასებს.

ალბათ, კონკრეტულად ეს არავის ბრალი არ არის. სამოცდაათი წელიწადი ჩვენ ყველას ერთი, საკმაოდ აბსტრაქტული, უკიდეგანო სამშობლო უნდა გვქონოდა, რომელშიც საქართველო და, მაგალითად, კომის ავტონომიური რესპუბლიკა, საკუთარი კარის მეზობელი ან თანასოფლელი და შორეული ურალის მეშახტე ერთნაირად უნდა გვყვარებოდა, ერთნაირად გაგვეთავისებინა. ჭირიც და ლხინიც, გინდა თუ არა, ერთად უნდა გაგვეზიარებინა. ასეთი იყო ათწლეულების განმავლობაში ყველა ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობი საბჭოთა იდეოლოგია, რომლის მსხვერპლი, რამდენიც არ უნდა ვიბაქიბუქოთ, უმრავლესობა აღმოვჩნდით. "Родина мать" გვეძახდა და ჩვენც ყველანი ერთად ვომობდით, ვხნავდით, ვთესავდით, ვადუღებდით ფოლადს, ვმართავდით კონცერტებს, აღლუმებს, მაგრამ რა იყო ეს "Родина", არ ვიცოდით, არ გვიყვარდა. ფაქტობრივად არაფერი გვიყვარდა, საკუთარი თავის გარდა. ჩვენ ცრუ ღირებულებების, ცრუპატრიოტიზმის, გაუფასურებული ფასეულობებისა და გაყალბებული ისტორიის პირობებში ვიზრდებოდით, ვყალიბდებოდით, ვარსებობდით. ისტორიისა, რომლის დამწერთა ნაწილი თავისივე შეთხზულს დღეს უნივერსიტეტის კიბეებზე თუ საკონსტიტუციო სასამართლოსთან ასე გულმოდგინედ იცავს. იცავს იმიტომ, რომ ერთხელ ნათქვამი ტყუილის აღიარებისთვის მისი სახელმწიფოებრივი აზროვნება საკმარისი არ არის.

მითიური, ამორფული, მოგონილი დიდი სამშობლო, საბჭოთა კავშირი, როგორც იქნა, დაინგრა და დაიწყო განუკითხაობის წლები, რომლებსაც რუსული გამოთქმა "смутные времена" თუ მოუხდებოდა. დაიწყო საქართველოს უახლესი ისტორიის ის წლები, როდესაც თანდათან, მიზანმიმართულად ღირებულებების სრული, საბოლოო გაუფასურება, მორალის, ელემენტარული ზნეობის ნიველირება მიმდინარეობდა. საქართველოში ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ბატონობდა იდეოლოგია, რომლის მიხედვით ცუდი კარგი გახდა, კარგი, წესიერი კი - უბადრუკი, დასაცინი. წლები, როდესაც სახელმწიფოებრივი აზროვნების გათელვა, მაღალი იდეალების გაშარჟება, კანონის ტოტალური, დაუფარავი დარღვევა, ცინიზმი, ურწმუნოება, ნიჰილიზმი, სკეპტიციზმი და ტყუილი, ერთი დიდი გლობალური ტყუილი მოდაში შემოვიდა და ათწლეულების განმავლობაში საბჭოეთის მიერ მომზადებულ ნიადაგზე წარმოუდგენლად იოლად დამკვიდრდა. არ მეთანხმებით? სანამ შემეკამათებოდეთ, მოდით ერთად გულწრფელად გავიხსენოთ. ამისთვის რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს მოგიყვანთ. ელემენტარულით დავიწყებ. შუქნიშანთან წითელზე გავლა, მანქანის უხეში დარღვევებით, მაღალ სიჩქარეზე მართვა კარგი ბიჭობის, ელიტარულობის მანიშნებელი იყო თუ არა? ნარკოტიკით ვაჭრობა, ნარკომანია, კბილებამდე შეიარაღებული სიარული, დაუსჯელი მკვლელობები, გამძვინვარებული კრიმინალი, ჩამშვები ძველი ბიჭები, ქურდული გაგების პოლიციელები, მექრთამე ბიუროკრატები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ბუნებრივ ნაწილს წარმოადგენდნენ თუ არა? ყოველგვარი ცოდნისა და მონაცემების გარეშე უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება, განათლების მიღება შესაძლებელი იყო თუ არა? როდისმე გამოგვითქვამს აღშფოთება ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული სასამართლო სისტემის გროტესკულობის თაობაზე? მოდით ვაღიაროთ, რომ არა. მორჩილად ვიხდიდით ქრთამებს და ამით საკუთარ ღირსებასა და, რაც მთავარია, სახელმწიფოებრივ შეგრძნებას ვთელავდით. როდისმე დავფიქრებულვართ, რომ ინსპექტორისთვის ორი ლარის, ტექბიუროში ოცი ლარის, საპასპორტოში ასი დოლარის ან ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში ელემენტარული ცნობის ასაღებად თითქოსდა უმნიშვნელო ქრთამის გადახდით საკუთარი ხელით სწორედ იმას ვუთხრიდით ძირს, შევურაცხყოფდით, რასაც საქართველოს სახელმწიფო, მისი ღირსება ჰქვია? როდისმე აღგვიქვამს, რომ ელექტროენერგიის "სჩოტჩიკში" ჩარჭობილი მავთულით, გაზის ინკასატორთან გარიგებით, გადასახადების არგადახდით ჩვენ თავსვე ვპარავდით? მოდით ერთხელ მაინც გულახდილად ვაღიაროთ, რომ წლების განმავლობაში თითოეული ჩვენგანისთვის უშიშროება, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქსტანდარტი, მერია, პროკურატურა, გამგეობები, სასამართლო, რკინიგზა, ჯარი, სიგარეტის, ბენზინის ბიზნესი და ა.შ. მხოლოდ და მხოლოდ უკანონო ფულის კოლოსალურ წყაროს ნიშნავდა და მეტს არაფერს. ნუთუ რომელიმე ჩვენგანმა არ იცოდა, რომ ნებისმიერი საწარმოს მუშაობა მხოლოდ "ლევზე" იყო აწყობილი. ნუთუ ერთი ისეთი ქართველი მოიძებნება, რომელიც იტყვის, რომ კანონიერად, კაპიკ-კაპიკ იხდიდა გადასახადებს? ან კი ვისთვის, ან რატომ უნდა გადაეხადა, თუ გადასახადის გადახდა მხოლოდ საკუთარი ჯიბიდან სხვის ჯიბეში ჩადებას ნიშნავდა და სახელმწიფო, როგორც ასეთი, ამ ორმხრივ პროცესში არანაირად არ ფიგურირებდა. ნუთუ დაგვავიწყდა, რომ წლების განმავლობაში პოლიციელები ქურდებად, კანონიერი ქურდები მოსამართლეებად, მოსამართლეები კრიმინალებად, კრიმინალები გმირებად, გმირები, ანუ არსებული რეალობის მიუხედავად წესიერად მცხოვრებნი, იდიოტებად იყვნენ გამოცხადებულნი? უამრავი ამგვარი წვრილ-წვრილი, წლების განმავლობაში ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელი მაგალითების მოყვანა შემიძლია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თითოეულ ქართველს ეს ყველაფერი ჩემზე არანაკლებად კარგად ახსოვს, აწუხებს და აღარ უნდა.

პირადად მე აღარ მინდა ყველასათვის უცნობ, უპატივცემულო, მსოფლიოს ქვეყნების კორუმპირებულობისა და ცხოვრების დონის ამსახველი სიის ბოლო ადგილზე მყოფ ამორფულ ტერიტორიაზე ცხოვრება. მე მინდა, რომ ამ ტერიტორიას სახელმწიფოს რეალური კონტური ჰქონდეს და მე კი მისი ამაყი მოქალაქე ვიყო. დღეს ამის რეალური შანსი გაგვიჩნდა და ეს ალბათ ყველასაც უნდა, მაგრამ ერთია სურვილი და მეორეა ჩვევა. სამწუხაროდ, არსებობს უამრავი ისეთი მავნე ჩვევა, რომელთანაც ბრძოლა, სურვილის მიუხედავად, მაინც ძალიან ძნელია. სიგარეტის მოწევას მთელი გულით მინდა თავი დავანებო და არ გამომდის, და როგორ უნდა მოთხოვო ცალკეულ ადამიანებს, რომ ერთ-ორ წელიწადში ათწლეულების განმავლობაში გამომუშავებულ ჩვევას - არასახელმწიფოებრივ ცხოვრებას, აზროვნებას, მორალს ასე იოლად, ერთი ხელის მოსმით შეელიონ. მით უმეტეს, რომ როგორც ყველაფერი მაცდური, ისიც ძალიან კომფორტული, იოლად მოსარგები, მყუდრო იყო. ასეთ მოკლე ვადაში როგორ უნდა გადააჩვიო ადამიანი წითელზე გავლას, ქრთამის აღებას ან მიცემას, დენის მოპარვას, დაუმსახურებლად ხელფასის მიღებას, ტყუილს. როგორ უნდა დააჯერო, რომ უპირველეს ყოვლისა ეს მისთვისვეა ცუდი და თანაც დასჯადი. სახელმწიფოს მიერ მკაცრად დასჯადი! როგორ უნდა გააგებინო მოშიმშილე აბიტურიენტებს, გრანტებვერმოპოვებულ უნივერსიტეტის თანამშრომლებს, უაქციზო სიგარეტებით მოვაჭრეებს, მექრთამე პოლიციელებსა და უამრავ სხვას, რომ მორჩა ის დრო, როდესაც უმაღლესში ცოდნის გარეშეც აბარებდი, დისერტაციას სხვა გიწერდა, სოფელში მანქანით წასასვლელად ბევრი ორლარიანი უნდა მოგემარაგებინა გზაზე ინსპექტორებისთვის დასარიგებლად, საბაჟოზე ტვირთი განბაჟების გარეშე შემოგქონდა, მილიციაში თითოეულ თანამდებობაზე მოწყობას კონკრეტული ტარიფი ჰქონდა, სამსახურში ნაცნობობით გიყვანდნენ, ხელისუფლებაში ყოფნა კი აუცილებლად კორუმპირებულობას ნიშნავდა. ახსნით კიდევ აუხსნი, დაანახებ, მაგრამ თუ არ უნდა რომ გაიგოს, დაინახოს, დაიჯეროს? თუ არ უნდა წლების განმავლობაში გამომუშავებულ ფუქსავატ სისტემას, კომფორტს შეელიოს? თუ არ უნდა, რომ ახალი დროის მიერ შემოთავაზებულ თამაშის ახალ წესებში თავი დამარცხებულად იგრძნოს? თუ ეშინია, რომ კანონში დაიკარგება? თუ ეშინია, რომ აწყობილი, ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს წინაშე პირისპირ დარჩენილი უსუსურად, უფუნქციოდ, უადგილოდ გამოჩნდება?

თბილისის ახალი მერის დანიშვნასთან დაკავშირებით გაკეთებული კომენტარების მოსმენისას რატომღაც აშკარად დავინახე, მივხვდი, რომ ხელისუფლების დაუნდობელი კრიტიკა, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების სურვილი, მოდა, კარგი ტონი კი არ არის, როგორც აქამდე მეგონა, არამედ ელემენტარული თვითგადარჩენის სურვილი, სუბიექტური კომფორტისთვის ბრძოლაა და მეტი არაფერი. ბრძოლა, რომელიც, სამწუხაროდ, თავის მოტყუებას უფრო წააგავს, თუმცა ისევე, როგორც ის ცრუ სიმყუდროვე, რომელთან განშორება ასე უჭირთ, მაგრამ რომელთანაც შელევა, უნდათ თუ არა, მაინც მოუწევთ. ამის გაგებას, დაჯერებას კი დრო უნდა.

საქართველო სახელმწიფო გახდა და მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ნებისმიერ სახელმწიფოს თამაშის მხოლოდ ერთი წესი აქვს - კანონი და მხოლოდ ერთი ხედვა - სახელმწიფოებრივი.

# ცოტა SMS-ები

■ მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე კახა ლომაიას ეროვნული გამოცდების პირველივე დღეს მივულოცე, მიმაჩნია, რომ მისაღები გამოცდების დასრულების შემდეგ ლომაია და მისი გუნდი პირადად პრეზიდენტისა და მთელი საქართველოს მხრიდან სერიოზულ მადლობას იმსახურებს.

■ მაინტერესებს, რამდენი ადამიანის ხელმოწერა იქნება საკმარისი იმისათვის, რომ საკრებულოს ლეიბორისტი ვინმე გუგავა აღარ დავინახოთ და მით უმეტეს აღარ მოვისმინოთ. ვის აქვს ამის ნერვები.

■ ვაკეში, "ენგურჰესის" სახლს რომ ეძახიან, წყალი არასდროს მოდის. უფრო სწორედ კი ზედა სართულებს არ მიეწოდება. ნეტავი ვის ეხება ეს 21-ე საუკუნისთვის თითქოსდა სრულიად შეუფერებელი პრობლემა.

■ აბსოლუტური მომხრე ვარ, რომ სკოლის ფორმები მარტო ბათუმში კი არა, მთელი საქართველოს მასშტაბითაც შემოიღონ. ჯოჯოხეთივით მახსენდება, ჩემი სამი ქალიშვილი ათი წლის განმავლობაში ყოველ დილას, რვა საათზე რომ მეკითხებოდნენ - "რა ჩავიცვათ?"

■ იმედი მინდა ვიქონიო, რომ თბილისის ახალი მერი კიდევ უფრო მეტად რადიკალური და თამამი იქნება. და თუნდაც დაკანონებული უკანონო მშენებლობებისგან თბილისს ოდნავ მაინც გაათავისუფლებს. მოკრძალებით მინდა მივუნიშნო, რომ კარგი იქნებოდა "შუშის სახლით", ვაკეში, სახანძროსთან ლურჯი შუშის ნაგებობით ან უნივერსიტეტის წინ არსებული უფუნქციო ასევე შუშის მიშენებით დაეწყო. ამ ერთ წელიწადში ნებადართულ დაშენებებსაც თუ მიხედავს, ხომ საერთოდ მთლად მადლიერი ვიქნები.

■ უნივერსიტეტის იმ პროფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერებს რა ვუთხარი, საკუთარ სათქმელს ნესტან კირთაძეს მეგაფონში რომ ალაპარაკებენ. ნუთუ თავის რიგებში ერთი ოდნავ უფრო კარგი, დამაჯერებელი ორატორი ვერავინ ნახეს? კარგად ყოფილა ჩვენი უნივერსიტეტელების საქმე!

■ მე, რომელიც გაზეთ "24 საათში" ვმუშაობ, დავუშვათ ხვალ რედაქტორმა ჩემი რუბრიკის უინტერესობის, არააქტუალობის ან ჩემს მიერ დაშვებული შეცდომების გამო გამათავისუფლა, რაც თავისთავად სრულიად შესაძლებელია, ეს პრესის შევიწროვებით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვით აიხსნება? რა შუაშია?!

■ ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე ასფალტის დაგების დასრულებას ისეთი ხალისით ველოდები, გეგონება ჩემს საკუთარ სახლში რემონტს მიკეთებენ. არადა, რომ იცოდეთ როგორი გასარემონტებელია! ზუსტად თბილისივით.

■ ახალი მერის დანიშვნით აჟიტირებულ მერიის თანამშრომელთა ნაწილის შემხედვარეს იმედი მაქვს, რომ თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი მაქსიმალურად მალე და თანაც მკაცრად ჩატარდება.

■ აკა მორჩილაძის "ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები" კარგის გარდა ძალიან აქტუალური წიგნიც ყოფილა. გამსახურდიას სკვერთან ფალიაშვილის ქუჩაზე საღამო ჟამს გავლა შეუძლებელია იქ მომრავლებული ქუჩის ძაღლების აგრესიულობის, რაოდენობისა და ნაირსახეობის გამო. თუმცა, ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები იქ შეკრებილ არანაკლებად მცირერიცხოვან სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს არ ერჩიან და მხოლოდ გამვლელებს აფრთხობენ.

■ ვერაფრით ვიჯერებ, რომ საქართველოს ტელევიზიის I არხის თავმჯდომარე ზაზა შენგელია აღარ იქნება. მე პირადად უკვე სრული სერიოზულობით ლენინივით მარადიული მეგონა. რატომღაც მაინც ვფიქრობდი, რომ აი ვინ ვინ და, შენგელია კი იქნება და იქნება.

■ ეს ჯონდი ბაღათურია ნელ-ნელა ფანტომასს სულ უფრო და უფრო ემსგავსება, არა?

# ჰიპოკრატეც ვერ გიშველით

ამ რამდენიმე დღის წინ ჩემი ქმრის ჯანმრთელობის პრობლემების გამო დიღომში, ერთ-ერთ კარდიოლოგიურ კლინიკაში მომიწია წასვლა. თავისთავად ექიმთან, მით უმეტეს კი კარდიოლოგთან ვიზიტი, ყოველთვის წინასწარ მღელვარებასთან არის დაკავშირებული. ამჯერადაც ვღელავდი, როგორი იქნება ექიმის დასკვნა, რა მდგომარეობაშია ჩემი ქმრის გული, მაგრამ გამოგიტყდებით, რომ ამ მნიშვნელოვან პრობლემებზე არანაკლებად იმაზე ვნერვიულობდი, რომ დიღმის გზების მდგომარეობიდან გამომდინარე, ექიმამდე ცოცხლებს მიგვეღწია. უსახურ, მოუვლელ, დანაგვიანებულ, გაპარტახებულ, თითქოს ძლიერი დაბომბვის შემდეგ ნაწილობრივ შემორჩენილი საავადმყოფოების მთელი ქსელის ტერიტორიას ვერც ერთი მხრიდან ისე ვერ მიუდგები, რომ საუკეთესო შემთხვევაში, ოთხივე ბორბალი გზაზე არ დატოვო. სიცოცხლისათვის რეალურად სახიფათო მახეები, ფაქტობრივად, ყოველ ნაბიჯზე გელოდება. თუ მაგარი ხარ, ააცილე. დავუშვათ სასწრაფოს ინფარქტიანი ან ხერხემლის ტრავმაგადატანილი მძიმე ავადმყოფი მიჰყავს. მაშინ, მერწმუნეთ, რომ ენით აღუწერელი გზის გამო საბრალოს გადარჩენის მინიმალური შანსი აქვს. დიღმის საავადმყოფოებთან ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ვერც ჰიპოკრატესადმი დადებული ფიცი, ვერც ექიმების თავგანწირვა გიშველის. თითქოს დაბომბილი შენობები, დაჟანგული ჭიშკრებითა და ღობეებით შემოფარგლული მოუვლელი ეზოები, რამდენიმე საავადმყოფოში შესახლებული ლტოლვილები, მათ მიერ გახსნილი უბადრუკი ჯიხურები, ცელოფანის პარკებით მორთული ხეები და ბუჩქები, მონგრეული ან სარეველასაგან დაბურულ-დაფარული ტროტუარები, ნებისმიერ მზეშიც კი დაუშრობელი ბინძური გუბეები, მტვერი, ნაგავი, სპეციფიკური სუნი და ასობით სამარშრუტო ტაქსი, რომელთა მძღოლები გზების ხარისხის, უფრო სწორედ კი უხარისხობის გამო შუმახერისთვის შესაშური ტრაექტორიით მოძრაობენ, რათა წლების განმავლობაში კარგად ნაცნობ ორმოებში არ აღმოჩნდნენ. აი, ასე გამოიყურება დიღომში უზარმაზარი საავადმყოფოებით გაშენებული ტერიტორია, მაშინ, როდესაც, მე მგონი პირველ რიგში სწორედ საავადმყოფო მის გარეთაც და შიგნითაც მაქსიმალურ მოწესრიგებულობასა და სისუფთავეს, კომფორტს ითხოვს.

მთელი ამ უბადრუკობის ფონზე ერთადერთი რაც არის მოვლილი, სრულიად აუხსნელი, ენით აღუწერელი არქიტექტურისა და ესთეტიკის მქონე რამდენიმე გაპრანჭული რესტორანია, რომლებიც საერთო გაპარტახებულობის ფონზე სიურეალისტურად, ან თუ გნებავთ, გროტესკულად გამოიყურება. ეკლექტიკური, ფსევდოშიკის მქონე რესტორნების მეპატრონეებმა ყველაფერზე იზრუნეს, მისასვლელი გზის გარდა. აქ უკვე სხვა საშიშროებასთან გვაქვს საქმე. თუ ამ რესტორნების სიმახინჯისა არ შეგეშინდება და იქ კარგად დალევ, იქეიფებ და მერე არსებულ გზაზე იჯანჯღარებ, იქვე, ახლოს მდებარე პირველივე საავადმყოფოში მოხვედრაც გარანტირებული გაქვს. თუმცა, რაღა დაგიმალოთ, მაგრამ ამ რესტორნებზე და მათ კლიენტურაზე, რატომღაც, ნაკლებად ვღელავ. აი, ბავშვთა, კარდიოლოგიური, ტრავმატოლოგიური, ქირურგიული საავადმყოფოების პაციენტებზე კი მართლაც ვნერვიულობ, მათი ბედი მაწუხებს. იმედი მინდა ვიქონიო, რომ ამ წერილის შემდეგ ქალაქის ხელისუფლებაც შეწუხდება, ერთხელ დიღმის ამ ნაწილისაკენ გაისეირნებს, ჩემი აღწერის ობიექტურობაში, სიზუსტეში დარწმუნდება და საავადმყოფოების ტერიტორიას ოდნავ მაინც მიხედავს. მერე კი პაციენტების ბედი მართლაც მხოლოდ ჰიპოკრატეს ფიცის სიმტკიცესა და ექიმების პროფესიონალიზმზე იქნება დამოკიდებული. ჯერჯერობით კი...

ინფოთეკა

## ლონდონის ტერაქტებს კავშირი არ აქვს ლონდონის გაოლიმპიურებასთან

ლონდონში მომხდარი ტერაქტების მიზეზებზე საუბრისას ერთნი აღნიშნავდნენ, რომ ყოველივეს მიზეზი, ალბათ, ის თუ არის, რომ ინგლისის დედაქალაქს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მიანიჭესო. ამასთან დაკავშირებით რუსეთში დიდი ბრიტანეთის ელჩმა ტონი ბრენტონმა განაცხადა, რომ 7 ივლისის ტერაქტებს არანაირი კავშირი არ აქვს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოხელეთა გადაწყვეტილებასთან.

"დარწმუნებული ვარ კავშირი არ არსებობს", - მოსკოვში მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა ბრენტონმა და იქვე ისიც დასძინა, რომ ტერაქტები ზედმიწევნით იყო დაგეგმილი და რომ მისი მოწყობა ბევრად ადრე იყო გათვლილი სოკ-ის 117-ე სესიის გადაწყვეტილებამდე.

## ვლადე დივაცი მოედნიდან წავიდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი მოთამაშე 36 წლის ვლადე დივაცმა ხუთშაბათს საკუთარი პროფესიული კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. ირკვევა, რომ დივაცის ამგვარ გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა უქონია წელზე მიღებულ ტრავმას, რომელიც კალათბურთელს დღემდე ვერ მოუშუშებია.

"წელი ბევრ პრობლემას მიქმნის, - ვითარებაში გვარკვევს დივაცი. - ახლა ტკივილებს არ ვგრძნობ, მაგრამ საკმარისია ოთხ-ხუთ მატჩში ვითამაშო, რომ ტრავმა თავს მახსენებს. ამიტომაც შანსებს იმისა, რომ სეზონის განახლებამდე სრულად გამოვჯანმრთელდები, 50/50-ზე ვაფასებ".

სერბმა კალათბურთელმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კარიერა "ლოს ანჯელესში" დაიწყო, როდესაც "ლეიკერსმა" 1989 წელს დრაფტის პირველ წრეში 26-ე ნომრად აიყვანა და არც უნანია, რადგან მეორე წელსვე მათმა რჩეულმა "ლეიკერსის" ფინალში გასაყვანად სერიოზული წვლილი შეიტანა, კლუბის შემადგენლობაში კი შვიდი სეზონი გაატარა.

1996 წელს დივაცი "შარლოტ ჰორნეტსში" გაცვალეს იმ მოტივით, რომ კლუბს დრაფტის პირველ წრეში კობი ბრაიანტის არჩევის შესაძლებლობა მისცემოდა.

2001 წელს "საკრამენტოს" მომავალმა მოთამაშემ ვლადე დივაცმა "ყველა ვარსკვლავთა" მატჩში ისაპარეზა, სადაც დასავლეთის ღირსებას იცავდა.

2004 წელს სერბი კალათბურთელი კვლავაც "ლეიკერს" დაუბრუნდა, როდესაც "მაიამში" გადაბარგებული შაკილ ო`ნილი შეცვალა.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გატარებულ 16-წლიან კარიერაში დივაცი თამაშში საშუალოდ 11,8 ქულას იხვეჭდა, ხოლო ამავე მაჩვენებლით მოხსნის 8,2 პროცენტიანი მაჩვენებლი ჰქონდა.

## აშვეთიას როსტოვული გოლი

ხუთშაბათს კლუბ "როსტოვის" ბაზაზე ორმხრივი შეხვედრა ჩატარდა და მასში "მწვანეებმა" "ყვითლებს" 4:0 სძლიეს. ჩვენთვის საინტერესო კი ისაა, რომ "როსტოვის" ქართველმა თავდასმხმელმა მიხეილ აშვეთიამ პირველი გოლით გამოიჩინა თავი.

## მერსისაიდელებმა არტეტა ინგლისში დატოვეს

ინგლისის პრემიერლიგელმა "ევერტონმა" "რეალ სოსიედადიდან" ესპანელი ნახევარმცველი მიკელ არტეტა შეიძინა, რომელმაც თავის მხრივ გასული სეზონის მეორე ნახევარი იჯარის უფლებით გაატარა "ლურჯების" რიგებში.

23 წლის ესპანელი "რეალ სოსიედადიში" შარშან ზაფხულში გადავიდა, მაგრამ სულ რაღაც ნახევარ წელიწადში ამოყო თავი ინგლისში. "ევერტონში" იჯარით წასულმა არტეტამ პრემიერლიგაში 14 შეხვედრა ჩაატარა და კლუბს მეოთხე ადგილის დაკავებაშიც შეეშველა, რაც თავის მხრივ ევერტონელებს ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის უფლებას ანიჭებდათ.

"ბარსელონას" საფეხბურთო აკადემიის კურსდამთავრებული, რომელიც ადრე "რეინჯერსისას" და "პარი სენ ჟერმენის" რიგებშიც თამაშობდა, სამედიცინო შემოწმება გასულ პარასკევს გაიარა, მისი ტრანსფერი კი მერსისაიდელებს 2,9 მილიონი ევრო დაუჯდათ.

ფეხბურთი

# ძველი, ახალი ფიგურა - გრიგოლ ცაავა

### ფუტზალის პრეზიდენტობიდან გენერალურ მდივნობამდე

მიხეილ აბაიშვილი



გრიგოლ ცაავა გენერალური მდივნის პოსტზე დაინიშნა.

15 ივლისს გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სხდომა, რომელზეც, როგორც იქნა, ნათელი მოეფინა მთავარ საკადრო საკითხს - სფფ-ს გენერალური მდივნის პოსტზე გრიგოლ ცაავა დაინიშნა. ხმები ამ საკადრო გადაწყვეტილების თაობაზე არც თუ დიდი ხნის წინ გაჩნდა და მის მართებულობას ქართული ფეხბურთის კულუარებში ეჭვქვეშაც აყენებდნენ. არავის სჯეროდა, რომ უმცროსი ნოდარ ახალკაცი არჩევანს შეაჩერებდა ისეთ კანდიდატურაზე, რომელსაც არც საფეხბურთო და, რაც მთავარია, არც სამთავრობო წრეებში არავინ ლობირებდა. შესაბამისად, სფფ-ს პრეზიდენტის ეს ნაბიჯი მართლაც გონივრული და სტრატეგიულია. სტრატეგიული, რადგან, სფფ-ში უმნიშვნელოვანეს პოსტზე, ასე ვთქვათ, "უკრიშო" გრიგოლ ცაავას დანიშვნით ნოდარ ახალკაცმა დაამტკიცა, რომ არანაირი სამთავრობო წრეების ზეგავლენის ქვეშ არ იმყოფება და პოლიტიკას დამოუკიდებლად წარმართავს. გადაწყვეტილების გონივრულობაზე კი ის მიუთითებს, რომ გრიგოლ ცაავას სახელი ქართულ საფეხბურთო სამყაროში წესიერების და პატიოსნების სინონიმადაა მიჩნეული.

ახალი გენერალური მდივნის მცირე ბიოგრაფიული მონაცემები: გრიგოლ ცაავა დაიბადა 1962 წლის 5 იანვარს სოხუმში. 1974-79 წლებში იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი, 1979 წელს მიიწვიეს თბილისის "დინამოში", სადაც ათი წლის განმავლობაში თამაშობდა. 1990-92 წლებში სოხუმის "ცხუმის" ღირსებას იცავდა. არის აფხაზეთის ომის ვეტერანი, ღირსების ორდენის კავალერი.

გრიგოლ ცაავას საფეხბურთო სტრუქტურებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე საქმიანობის საკმაო გამოცდილებაც გააჩნია: იგი 2003 წლიდან საქართველოს ფუტზალის ასოციაციის პრეზიდენტია.

ეჭვგარეშეა, რომ ცაავას გენერალური მდივნის პოსტზე საქმიანობის პირველ ეტაპზე ძალზე გაუჭირდება და სერიოზული ბარიერების წინაშეც აღმოჩნდება. ერთია, როდესაც ისეთ უმნიშვნელო სტრუქტურას ხელმძღვანელობ, როგორიცაა ფუტზალის ასოციაცია და მეორეა, როცა ქართული ფეხბურთის მართვის თითქმის ყველა სადავე შენს ხელშია მოქცეული. მაგრამ მოდით, წინასწარ ნურც ვაძაგებთ და ნურც ვაქებთ. ქართული ფეხბურთი ისეთ მდგომარეობაშია, რომ გადარჩეს, სასწრაფო ქირურგიული ჩარევა ესაჭიროება. ფედერაციის ახალ პრეზიდენტზე და მის რჩეულ გენერალურ მდივანზე საუბარი გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მათი საქმიანობის წარმატებულობის ხარისხის მიხედვით იქნება შესაძლებელი.

"დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ფედერაციის პრეზიდენტს იმ დიდი ნდობისთვის, რომელიც ჩემთვის ამ პოსტის შემოთავაზებით გამოხატა. ბოლომდე გათვითცნობიერებული მაქვს, რა დიდი პასუხისმგებლობაა სფფ-ს გენერალური მდივნის პოსტის დაკავება არსებულ ვითარებაში. დიდი იმედი მაქვს, რომ მთელს საფეხბურთო ოჯახთან, თქვენთან და გულშემატკივრებთან ერთად, ერთობლივი ძალისხმევით, შევძლებთ იმ კურსის არჩევას, რომელიც ქართულ ფეხბურთს პროგრესის გზით წაიყვანს. წინასწარ მეტს არაფერს გეტყვით. დანარჩენზე ჩვენს მიერ გაკეთებული საქმეები იმეტყველებს", - საკმაოდ მოკრძალებული იყო ცაავას პირველი კომენტარი.

აღმასკომმა სამი საკითხი განიხილა: სფფ-ს ახალი სტრუქტურის და საშტატო განრიგის დამტკიცება; გენერალური მდივნის პოსტზე გრიგოლ ცაავას დამტკიცება; სფფ-ს რიგგარეშე მე-10 ყრილობის ჩატარების ვადების და განსახილველი საკითხების დამტკიცება.

აღმასკომმა სფფ-ს პრეზიდენტის მიერ გამოტანილი სამივე საკითხი ერთხმად დაამტკიცა. შესაბამისად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მთავარი ოფისი ახალი სტრუქტურის პირობებში იფუნქციონირებს. შეიქმნა 9 განყოფილება, რომლებიც დაექვემდებარებიან გენერალურ მდივანს. ესენია - საერთო, იურიდიული, საფინანსო, კომერციული, სამსაჯო-საინსპექტორო, საკლუბო ლიცენზირების განყოფილებები, ბუღალტერია და სამეურნეო დეპარტამენტი. ფედერაციას უხელმძღვანელებს პრეზიდენტი და სამი ვიცეპრეზიდენტი, რომლებსაც საკურატორო სფეროები ექნებათ გადანაწილებული.

დამტკიცდა ასევე რიგგარეშე ყრილობის ჩატარების თარიღი - 2005 წლის 30 აგვისტო, რომელზეც მთავარ განსახილველ საკითხად გამოტანილი იქნება აღმასკომის წევრთა რაოდენობის ოპტიმიზაცია. ამჟამად, სფფ-ს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობა 21-კაციანია. ნოდარ ახალკაცის აზრით, აღმასკომის შემადგენლობის ასეთი მრავალრიცხოვნება სფფ-ს ამ მთავარი ორგანოს საქმიანობას მოუქნელს ხდის და ქმედუნარიანობას უქვეითებს.

"თუ რამდენი წევრისგან უნდა შედგებოდეს აღმასრულებელი კომიტეტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის გადასაწყვეტია. 30 აგვისტოს ყრილობა დაადგენს აღმასკომის ახალ რაოდენობრივ ცენზს", - აღნიშნა ნოდარ ახალკაცმა სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ვიცეპრეზიდენტების პოსტზე ახალი კანდიდატურების დანიშვნის საკითხსაც ყრილობა გადაწყვეტს.

საფეხბურთო გალერეა

# დელ ორნოს მიზანი



დელ ორნო აპირებს მსოფლიოს საუკეთესო განაპირა მცველი გახდეს.

ასიერ დელ ორნომ დიდი ხანი იფიქრა, ვიდრე ბილბაოს "ატლეტიკიდან" ლონდონის "ჩელსიში" გადაბარგდებოდა. ბილბაოს ცნობილი საფეხბრუთო აკადემიის აღზრდილმა და ესპანეთის ნაკრების მცველმა დელ ორნომ ბასკურ კლუბს 11 წელი შეალია და ეჭვი შეეპარა, ღირს თუ არა დაიწყოს ახალი, ინგლისური ეტაპი მის საფეხბურთო კარიერაში.

თუმცა ლონდონელმა მთავარ მწვრთნელ ჟოზე მოურინიოსთან საუბრის შემდეგ ფეხბრუთელს ყველა ეჭვი გაუქრა. 24 წლის ფეხბურთელმა ინგლისის ჩემპიონთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და განაცხადა, რომ სწორედ ჟოზე მოურინიომ დაარწმუნა იგი "სტემფორდ ბრიჯზე" გადასულიყო.

"ჩემთვის ესპანეთის დატოვება უაღრესად რთული საქმე იყო. ბილბაოში მე ყველაფერი მაწყობდა. თუმცა მოურინიომ მალე დამარწმუნა, რომ "ჩელსის რიგებში გადასვლა მართებული ნაბიჯი იყო - განაცხადა 24 წლის მცველმა - მისი სატელეფონო ზარის შემდეგ მე ბევრად მეტი თავდაჯერებულობა შევიგრძენი და საკუთარ ძალებში დავრწმუნდი. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. მოურინიომ მითხრა, რომ ჩემი გუნდში ხილვა სურს. ჩემთვის კი შესანიშნავი შანსია მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში გამოვიჩინო თავი. მან ისიც მითხრა, რომ თუ ყველაფერს ვილონებ, რაც საჭიროა, მაშინ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო განაპირა მცველი გავხდები".

არავითარი ეჭვი არ არსებობს, რომ გუნდში დელ ორნო მუხლჩაუხრელად იშრომებს. 24 წლის მცველს ესმის, რომ საჭირო დონის მისაღწევად დიდი შრომა მოუწევს. ფეხბურთელს ძალიან სურს, რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს მოურინიოს ხელმძღვანელობით თამაში, რადგან პორტუგალიელმა სპეციალისტმა მას "ესპანეთის საუკეთესო განაპირა მცველი" უწოდა. "ატლეტიკის" ექსფეხბურთელს სჯერა, რომ მოურინიოს ხელში ის ბევრად უფრო სწრაფად მიაღწევს საჭირო პროგრესს.

"დარწმუნებული ვარ, რომ ბევრად უფრო კარგად ვითამაშებ ისეთი მწვრთნელის ხელში, როგორიც ჟოზე მოურინიოა - ამბობს დელ ორნო - ჩემთვის რთული იყო უარი მეთქვა ისეთი კალიბრის გუნდის წინადადებაზე, როგორიც "ჩელსია", ვინაიდან ნათელია, რომ ლონდონური კლუბის შემადგენლობაში უფრო მაღალი დონის ოსტატი გავხდები, ვიდრე აქამდე ვიყავი. მე მსურს მსოფლიოს საუკეთესო მარცხენა მცველი გავხდე და ყველაფერს ვილონებ ამ მიზნის განხორციელებისთვის. "ჩელსიში" გადასვლა უნიკალური შანსია და ჩემს საფეხბრუთო კარიერაში უზარმაზარი წინ გადადგმული ნაბიჯია".

ზოგადად უცხოელებს უჭირთ ისეთ მაღალ ტემპთან შეგუება, როგორიც ინგლისშია დანერგილი, მაგრამ დელ ორნოს ეს პრობლემა არ ანაღვლებს. მცველი დარწმუნებულია, რომ მისი სისწრაფე და ფიზიკური მონაცემები სავსებით ესადაგება ინგლისის ჩემპიონატს. ამდენად, ესპანელი ფეხბურთელი მოუთმენლად ელის ახალი სეზონის დაწყებას.

"ვარჯიშები უკვე დაიწყო და ეს ჩემთვის სულ უფრო საინტერესოა. მოუთმენლად ველოდები იმ დროს, როცა პირველად მოვირგებ "ჩელსის" ლურჯ მაისურს - გვიამბობს დელ ორნო - რა სასიხარულოა, რომ ინგლისის პრემიერლიგაში თამაშის შანსი მომეცა! მიმაჩნია, რომ ჩემი თამაშის სტილი ყველაზე უფრო სწორედ ინგლისის ჩემპიონატს ესადაგება, სადაც მატჩები მაღალ ტემპში მიმდინარეობს. ფეხბურთელები მუდმივად მოძრაობენ და გადაცემების გაკეთება სისწრაფეში გიხდება. ასეთი ფეხბრუთი ძალიან მომწონს. ვფიქრობ ნებისმიერი ევროპელი ფეხბურთელი ოცნებობს პრემიერლიგაში თამაშზე".

დელ ორნოს ძალიან კარგად მოეხსენება, რომ მყისვე უნდა გამოიჩინოს თავი ლონდონურ კლუბში, თუ მას ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება სურს. ესპანელს ისეთ ფეხბრუთელებთან მოუწევს კონკურენცია, როგორებიც ინგლისის ნაკრების მცველი უეინ ბრიჯი და საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი უილიამ გალასი არიან. თუმცა ინგლისელების მიერ 12 მილიონ ევროდ შეძენილი დელ ორნო გამოცდას არ უფრთხის.

"ვიცი, რომ "ჩელსიში" ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად სერიოზული კონკურენციაა, მაგრამ ეს ჩემთვის მხოლოდ სასარგებლოა. რთული იქნება, მაგრამ მწამს, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოპოვებას მოვახერხებ. სწორედ ეს იქნება ჩემი უმთავრესი ამოცანა ჩემი ინგლისური კარიერის საწყის ეტაპზე" - განაცხადა ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელმა.

ინფოთეკა

## პატრიკ ვიეირამ "მეთოფეები" "ბებერ ქალბატონში" გაცვალა

ლონდონის "არსენალმა" დაადასტურა ცნობა იმის თაობაზე, რომ თანახმანი არიან ტურინის "იუვეტუსის" მიერ შეთავაზებულ 20 მილიონ ევროზე, მილიონებს კი "მეთოფეთა" ფრანგ ლეგიონერთან 29 წლის ნახევარმცველ პატრიკ ვიეირასთან მივყავართ.

ფრანგმა ლეგიონერმა პირობების შეთანხმებისა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ გუშინ "ბებერ ქალბატონთან" კონტრაქტზე ხელი მოაწერა, რომელიც ხუთწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს.

არსენალელ გულშემატკივართა ინტერნეტ საიტზე "მეთოფეთა" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა აცხადებს: ვიზიარებ ჩვენს გულშემატკივართა გულისტკივილს იმის თაობაზე რომ ვიეირა მიდის, მაგრამ იმავდროულად მინდა ყველას ვუთხრა: გვენდეთ და მხარში დაგვიდექით...

პატრიკი ჩვენთვის ბრწყინვალედ თამაშობდა და გახდა კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე. მიმაჩნია, რომ მან წვლილი შეიტანა არა მარტო "არსენალის" თამაშში, არამედ სრულად ინგლისურ ფეხბურთში".

შეგახსენებთ, რომ ფრანგი მწვრთნელის "არსენალში" გადასვლის შემდეგ მისი პირველი შენაძენი 1996 წელს სწორედ ვიეირა გახლდათ.

"როდესაც კლუბის ღირსებას იცავთ ცხრა წელიწადი, იქიდან წასვლა ძალზე ძნელია, - დანანებით ამბობს ვიეირა. - მაგრამ ბოლოს და ბოლოს თქვენც ირჩევთ საკუთარ მომავალს. ამგვარი გადაწყვეტილების მიღება რთული კი იყო, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ.

უბრალოდ, გადავწყვიტე, რომ კვლავაც მჭირდებოდა საკუთარი თავის გამოცდა, "იუვენტუსი" კი ამისთვის სწორედ რომ შესაფერისი ადგილია".

## "რეალი" მსოფლიოს უმდიდრესი კლუბი გახდა

ესპანურ "მარკასთან" საუბრისას მადრიდის "რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა აღნიშნა, რომ დასრულებული სეზონის შედეგების მიხედვით ესპანური კლუბი მსოფლიოს სხვა კლუბებთან შედარებით ფულის გამომუშავებით, უდაო ლიდერია.

"უკვე დავრწმუნდით იმაში, რომ განვლილი სეზონის შედეგების მიხედვით ჩვენი შემოსავლები სხვა ნებისმიერ კლუბთან შედარებით მაღალია. მხოლოდ "მანჩესტერ იუნაიტედია" რომელიც შესაბამისი მაჩვენებლით დიდად არ ჩამოგვრჩება, მაგრამ ფაქტია, წლეულს ამ მხრივ "მანიუს" გავასწარით. "რეალმა" ყველა ეკონომიკური პრობლემა სამარადჟამოდ მოაგვარა".

## ვალვერდეს "ტურზე" მუხლმა უმტყუნა

მუხლზე მიღებული ტრავმის გამო ესპანელი ალეხანდრო ვალვერდე იძულებულია "ტურ დე ფრანსზე" ასპარეზობა შეწყვიტოს. 24 წლის ველომრბოლემა უპრესტიჟულესი რბოლიდან საკუთარი თავი მოხსნა გუშინ მე-13 ეტაპის მიმდინარეობისას.

აღსანიშნავია, რომ ვალვერდე, რომელიც "ილ ბალეარესის" გუნდის ღირსებას იცავს, "ტურის" მე-10 ეტაპი ჰქონდა მოგებული, ხოლო საერთო ჩათვლაში მეხუთე ადგილზე იმყოფებოდა და რბოლის ლიდერს ამერიკელ ლენს არმსტრონგს 3 წუთითა და 16 წამით ჩამორჩებოდა.

ახლა კი ირკვევა, როგორც ამას "როიტერი" გვამცნობს, მიუხედავად ტრავმისა, ვალვერდე მშობლიურ "ვუელტაზე" მონაწილეობას არ გამორიცხავსო.

## "ფიორენტინამ" "პალერმოდან" ლუკა ტონი წაიყვანა

იტალიურმა "ფიორენტინამ" "პალერმოს" ყოფილ თავდამსხმელთან ლუკა ტონისთან დადო ხელშეკრულება. "როიტერის" ცნობით, 28 წლის ფეხბურთელთან ოთხწლიანი შეთანხმება გაფორმდა. ადრეული ინფორმაციის თანახმად "ფიორენტინა" ლუკა ტონის სანაცვლოდ, რომელსაც იტალიის ნაკრებში ათ მატჩში უასპარეზია და ორი გოლი გაუტანია, "პალერმოს" 7 მილიონ ევროს სთავაზობდა.

ტონი, რომელსაც "ვიჩენცასა" და "ბრეშას" რიგებში სერია "A"-ში თამაშის გამოცდილება აქვს, გასულ სეზონში სერია "B"-ში "პალერმოს" 30 გოლით შეეწია, წლეულს კი 20 გოლიც მიუმატა.

# "...ისინი უკეთ გეტყვიან..."

ლია თოფურია

ერთი ლამაზი შეხვედრა გუშინ მიხეილ ჯავახიშვილი სახელობის სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შედგა. მიზეზი ცნობილი მხატვრისა და მწერლის - თემო ჯაფარიძის მორიგი, ახალი წიგნის ("დაქირავებული დამტირებლის გულგრილობა") გამოცემა, და უფრო კი, მისი მოყვარული ადამიანების ერთმანეთთან, პირველ რიგში, ავტორთან ურთიერთობის სურვილი გახლდათ. თითოეული ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობი ადამიანები საუბრობდნენ სულიერებაზე, ხელოვნებაზე, ბატონი თემოს პიროვნებაზე. შეხვედრა პოეტმა ერეკლე საღლიანმა გახსნა. ქალბატონმა მაკა ჯოხაძემ ვრცლად და დიდი სითბოთი ისაუბრა თემო ჯაფარიძის შემოქმედებაზე, აღნიშნა, რომ "...ეს არის კაცი, რომელიც ჩვენი ისტერიული დროის დინებამ ვერ აიყოლია,... რომელმაც თავის პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებში ფიქრის პერსონიფიცირება მოახდინა. ეს უცნაურად ჩუმი კაცი თავისი შემოქმედებით ძალიან ბევრს ამბობს." გამომსვლელები - რეზო ადამია, გუჩა კვარაცხელია, მარინა რჩეულიშვილი, ივანე ჯაფარიძე - ერთხმად აღნიშნავდნენ მის არაორდინარულ აზროვნებას და ღრმად ფილოსოფიურ შემოქმედებას.



ლომერ ახვლედიანი: "ძალიან მიჭირს თემოს შესახებ საუბარი, რადგან მისი ყოველი ახალი ნაწარმოები მაოცებს და მასში ამ ნიჭიერი ადამიანის ახალ შესაძლებლობებს აღმოვაჩენ ხოლმე. ერთადერთი რამ მინდა - რომ მრავალჯერ გაგვაოცოს. სხვას ვერაფერს გეტყვით, უყურეთ მის ნახატებს და წაიკითხეთ მისი ნაწარმოებები, ისინი ჩემზე უკეთ გეტყვიან სათქმელს."

ჟანრი ლოლაშვილი: "მე ამ ურთულესი პიროვნების შემოქმედების ანალიზს ვერ შევძლებ, სულ სხვა პროფესიის ადამიანი ვარ. მაგრამ მასთან ყოველი შეხვედრა ჩემთვის ნამდვილი სკოლაა. მე მას ჩემს მასწავლებლად ვთვლი, და არა მარტო მხატვრობაში... მას ყველგან გასდევს თავისი ფილოსოფია - სიტყვაში თუ პორტრეტში. და, საერთოდ, ნუ ვიქნებით მორიდებულები აღტაცების გამოხატვაში, უნიჭიერეს ადამიანს ხმამაღლა ვუთხრათ, რაც სათქმელია, თან დროულად ვუთხრათ..."

ამ შეხვედრის სიმყუდროვე და თბილი ატმოსფერო სულაც ვერ გაანელა ასწლიანი ბიბლიოთეკის შენობის (რომელსაც, თურმე, "კბილებით" იცავს მავანთაგან ბიბლიოთეკის პერსონალი) სავალალო მდგომარეობამ - აყრილი იატაკი, ჩამორეცხილი ჭერი. ეს ყველაფერი სიმბოლურად ეხმიანებოდა ქართველ მოღვაწეთა დღევანდელ მდგომარეობას.


**იყიდება მზა ბიზნესი "ნეკროპოლი" ტრაურ სერვისი**

მთლიანი კომპლექტი, რაც აუცილებელია ახალი ბიზნესის დასაწყებად.

1. საფლავში ჩასასვენებელი მოწყობილობა
2. მაცივარ-სასახლეები
3. აქსესუარები - სასახლის დასადგმელი, სკამები, ეტლები, ფარდაგები, ყვავილის კომპოზიციები, გვირგვინები, შანდლები.

**ცნობებისთვის დარეკეთ:**
**ქ. ერევანი (37410) 54-80-54**
**24-24-27**
**მობილური (37491) 43-45-18**





# ვებერი თეატრალურ იმპერიას ყიდის



ბრიტანელი კომპოზიტორი და იმპრესარიო ენდრიუ ლოიდ ვებერი, გენიალური "იესო ქრისტე - სუპერვარსკვლავის" და სხვა ცნობილი მიუზიკლების ავტორი ამჟამად მის მფლობელობაში არსებული თეატრების გაყიდვით არის დაკავებული. უკვე გაყიდულია თეატრების: "აპოლოს", Garrick, Duchess-სა და Lyrick-ის მოედნები უესტ-ენდში.

თავად მაესტრო ამ ყველაფერს ამგვარად ხსნის: სურს, გათავისუფლდეს ზედმეტი საზრუნავისგან და მთელი თავისი დრო დაუთმოს მუსიკის შექმნას. თუმცა, ბრიტანელი ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ვებერის გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი მისსავე თეატრებში გაყიდული ბილეთების მკვეთრი შემცირებაა.

ლონდონის ვესტ-ენდში განთავსებული თეატრების ახალი მფლობელი კომპანია Nimax-ია. ამჟამად მის განკარგულებაშია ვებერის თეატრალური მოედანი: "აპოლოსა" და Garrick-ის, ათასხუთას მაყურებელზე გათვლილი დარბაზი, Duchess-ის კამერული, ხუთასკაციანი თეატრი და Lyrick - სადაც კომფორტულად თავსდება ცხრაასი მაყურებელი. ვებერი ამ გარიგებისგან 11,5 მილიონ ფუნტ სტერლინგს ელოდება. ეს ფული დაემატება თანხას (რომელმაც საბოლოოდ 20 მილიონი უნდა შეადგინოს), რომელიც დარჩენილ თეატრებში უნდა ჩადოს იმპრესარიომ. თუმცა, კომპოზიტორი არ გამორიცხავს, რომ მოკლე დროში მას კიდვ მოუწევს კიდევ რამდენიმე თეატრის დათმობა.

იმედიანად არიან თეატრების ახალი მფლობელები. ისინი თეატრების რეპერტუარში "გაცილებით სერიოზული დრამატული ნაწარმოებების" შეტანით შეეცდებიან სიტუაციის შეცვლას. თუმცა, ექსპერტები ამბობენ, რომ ამ თეატრებში კრიზისი ძალიან ასახავს ზოგადად, მიუზიკლის ჟანრის ახლანდელ მდგომარეობას და ეს ყველაფერი სხვამ ვინ უნდა იწვნიოს საკუთარ თავზე, თუ არა ვესტ-ენდის მაგნატმა?!

რაც შეეხება ენდრიუ ლოიდ-ვებერს, მას უკანასკნელი ცხრამეტი წლის განმავლობაში მუსიკა არ შეუქმნია. ამგვარად, თეატრების გაყიდვა რჩება ერთადერთ შესაძლებლობად, რომ ვებერი საკომპოზიტორო მოღვაწეობას დაუბრუნდეს.

# ოპერა ვოტერსისგან



როჯერ უოტერსმა თავისი პირველი საოპერო ნაწარმოები დაწერა, რასაც მუსიკოსმა 16 წელიწადი მოანდომა. Ca Ira, - ასე ჰქვია ნაწარმოებს ფრანგულად და ის "საფრანგეთის რევოლუციის საოპერო ისტორიაა". ოპერის ჩაწერაში მონაწილეობდნენ კლასიკური მუსიკის ვარსკვლავები, მათ შორის ბარიტონი ბრინ ტერფელი.

ჩანაწერი გაყიდვაში სექტემბრიდან გამოჩნდება, წლის ბოლოს კი ნაწარმოები ცოცხლად შესრულდება რომში.

61 წლის როჯერ ვოტერსმა ოპერაზე მუშაობა 1989 წელს დაიწყო; მაშინვე, რაც ლიბრეტოს ავტორმა ეტენ როდ-ჟილმა თანამშრომლობა შესთავაზა. "მას სურდა გაეგო, შეეძლო თუ არა ჩემი ძველი კომპოზიციების გამოყენება. როდესაც წავიკითხე ლიბრეტო, მაშინვე შემიყვარდა. თვენახევრის შემდეგ კი უკვე მოფიქრებული მქონდა ორსაათიანი მასალა", - ამბობს როჯერ უოტერსი.

მუშაობა პროექტზე როდ-ჟილის მეუღლის გარდაცვალების გამო შეწყდა. თუმცა, ის მოგვიანებით განახლდა.

Ca Ira რომში შესრულდება კონცერტზე, მაგრამ როჯერსს სურს, რომ მის დადგმაზე რომელიმე საოპერო კომპანიამ იმუშაოს. მუსიკოსის თქმით, ის მოუთმენლად ელოდა კლასიკური მუსიკის სამყაროდან რეაქციას. "ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს თავი გილიოტინაზე მედო", - ამბობს ვოტერსი. მისი აზრით, ოპერა მელოდიური და ემოციური გამოვიდა.




